



განათლების აკადემიის
ეროვნული ცენტრი



სარისხიანი
უმაღლესი
განათლებისთვის

ნულიური
ანბნარიში

2006



USAID
ამერიკელი ხალხისგან

ზოგადი განათლების **GEDA**
დემონსტრაციისა და აკადემიის პროექტი



განათლების აკადემიის
ეროვნული მენეჯერი

წლიური ანგარიში

2006

თბილისი

შინაარსი:

1. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2004-2005 წლის პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგები და შეფასება	8-17
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი. იურიდიული წანამძღვრები, მისია, მიზნები, სტრუქტურა და ფუნქციები	18-21
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო	22-23
4. 2006 წელს ჩატარებული ინსტიტუციური აკრედიტაცია	23-30
4.1 ჩატარების წესი და პრინციპები	
4.2 აკრედიტაციის ექსპერტები	
4.3 აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა	
4.4 აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი	
4.5 ექსპერტთა ვიზიტი და ანგარიშვალდებულება	
5. ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმები	31-33
6. ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია	33-34
7. დაწესებულების თვითშეფასება და თვითშეფასების კითხვარი	35-38
8. სააკრედიტაციო ვიზიტი	38-39
9. გადაწყვეტილება ინსტიტუციური აკრედიტაციის შესახებ	40
10. მისაღები კონტინგენტის ფორმულა	41-42
11. გადაწყვეტილების გამოცემის მიზნით განხორციელებული სამართლებრივი პროცედურები	43-44
12. საზოგადოებასთან ურთიერთობა - ინფორმაციის გამჭვირვალობა	44-45
13. 2006 წლის აკრედიტაციის შედეგების სტატისტიკური ანალიზი	46-54
14. ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით	55-60
15. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის 2006 წლის ფინანსური ანგარიში	61-65
16. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიმდინარე პროექტები	66-82
17. დანართი:	83-94
I. 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სია. II. 2007-2008 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და ახლადდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სია. III. აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი.	

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა № 68.

ტელ.: 91-02-27

www.nea.ge



წინასიტყვაობა



ნინო ჩუბინიძე

«ათასწლეულის მიჯნაზე კაცობრიობის მომავალი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ კულტურულ, სამეცნიერო და ტექნიკურ განვითარებაზე, რომელიც უნივერსიტეტების კულტურულ, სასწავლო და კვლევით ცენტრებში მიმდინარეობს»
(უნივერსიტეტების დიდი ქარტია, ბოლონია 1988 წლის 18 სექტემბრი)

ევროპული უნივერსიტეტების რექტორებმა «უნივერსიტეტების დიდ ქარტიაში» ის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბეს, რომელიც საფუძვლად დაედო ევროპის საერთო უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში. ოთხი ძირითადი პრინციპის – უნივერსიტეტის ავტონომიურობის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის, კვლევისა და სწავლების თავისუფლებისა და ჰუმანისტური კულტურის დამკვიდრების უზრუნველყოფის ერთობლიობა არის ის მთავარი ღერძი, რაზეც უნდა იქნას აგებული თანამედროვე ევროპული და სხვა ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემები.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბება ყველა ქვეყნისგან უდიდეს ძალისხმევას საჭიროებს. ევროპის მრავალ ქვეყანაში დაწყებული უმაღლესი განათლების რეფორმა ხორცილედება «უნივერსიტეტების დიდი ქარტიის» (1988 წ.), «ლისაბონის კონვენციის» (1997 წ.), «ბოლონიის დეკლარაციის» (1999 წ.), «გიოტებორგის დეკლარაციის» (2001 წ.), «გრაცის დეკლარაციის» (2003 წ.) და ევროპის ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელ მინისტრთა შეხვედრების სხვადასხვა კომუნიკეში ჩამოყალიბებული პრინციპების გასატარებლად და დასახული მიზნების შესასრულებლად.

საქართველოს ახალმა მთავრობამ 2003 წლის 22 ნოემბრის «ვარდების რევოლუციის» შემდეგ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანებისათვის აუცილებელი, თანმიმდევრული და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა.

საქართველოში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა 26 სახელმწიფო და 218 არასახელმწიფო/კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეხვედბოდიით სკოლების, პროფესიული სასწავლებლების, ბაგა-ბაღის, ყოფილი ქარხნების, კლინიკებისა თუ პოლიკლინიკების ტერიტორიაზე.

2004 წლამდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სწავლების პროცესის, სასწავლო პროგრამებისა თუ სასწავლო პირობების გადამოწმება არ განხორციელებულა. განუკითხაობის შედეგად უმრავლეს მათგანში იყო სტუდენტთა კონტინგენტის განუზომელი სიჭარბე, არასრულფასოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წლობით განუახლებელი საბიბლიოთეკო ფონდები და თანამედროვე საინფორმაციო ქსელების არარსებობა, სტუდენტთა შეფასების მოუწესრიგებელი სისტემა, მოძველებული სასწავლო პროგრამები და სასწავლო მეთოდები, კორუფცია მისაღებ და კურსიდან კურსზე გადასაყვანი გამოცდებისა თუ აკადემიური პერსონალის შერჩევის და დასაქმების სფეროში.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორება მთავრობის მხრიდან საჭიროებდა თანმიმდევრული რეფორმის დაუყოვნებლივ დაწყებას. 2004 წლის საქართველოს კანონი «უმაღლესი განათლების შესახებ», 2005 წლის საქართველოს კანონი «ზოგადი განათლების შესახებ», 2004-2005 წლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა პირველი

ინსტიტუციური აკრედიტაცია და 2005 წლიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით სტუდენტთა ჩარიცხვის წესის შემოღება გახლდათ ფართომასშტაბიანი ანტიკორუფციული ღონისძიებების ჯაჭვი, რითაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ განათლების სისტემის აუცილებელი გარდაქმნებისათვის მზაობა გამოხატა. დაწყებული რეფორმა წინაპირობაა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ევროპის საგანმანათლებლო სივრცისადმი მიერთებისათვის.

უმაღლესი განათლების ახალი სისტემის ჩამოყალიბება ეფუძნება: დაფინანსების ახალ - საგრანტო წესს, ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით სტუდენტთა ჩარიცხვას, მართვის ახალ მოდელს და აკრედიტაციას. აკრედიტაცია ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების პროცესია, რომელიც ადასტურებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას უმაღლესი განათლების ხარისხის მინიმალურ მოთხოვნებთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2004 წლის 28 ოქტომბრიდან გამოაცხადა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი, რაც დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლიცენზირებისა და აკრედიტაციის დეპარტამენტს. ამასთან, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ განისაზღვრა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სააკრედიტაციო საბჭო.

«უმაღლესი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაცია გარდამავალი ეტაპის შემდგომ დამოუკიდებელ სააკრედიტაციო სამსახურს უნდა განეხორციელებინა. შესაბამისად, 2006 წლის 27 მარტს საქართველოს განათლებისა და მინისტრის №222 ბრძანებით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნულმა სამსახურმა 2006 წელს განახორციელა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინსტიტუციური აკრედიტაცია, რომელიც ითვალისწინებდა აკრედიტაციის მინიჭებას 5 წლის ვადით.

წინამდებარე ანგარიში სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის 2004-2006 წლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმის, გარდამავალი პერიოდის ინსტიტუციური აკრედიტაციის და სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის (განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი) მიერ განხორციელებული ინსტიტუციური აკრედიტაციის იურიდიული წანამდგვრებისა და პროცედურული თავისებურებების შესახებ. აცნობს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს დანიშნულებას, სტრუქტურას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. აკრედიტაციის ექსპერტთა მუშაობის სპეციფიკას, ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგებსა და ანალიზს, ზოგადი სახის რეკომენდაციებსა და, ასევე, სამომავლო ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტების პროექტს.

ცენტრი ღიაა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო სააკრედიტაციო სამსახურებთან თანამშრომლობისთვის.

ს.ს.ი.პ. – განათლების აკრედიტაციის
ეროვნული ცენტრის დირექტორი
ნინო ჩუბინიძე



ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდნენ:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი:

ნინო ჩუბინიძე
ხათუნა მხეიძე
რევაზ ხოფერია
გიორგი ზედგინიძე
ვერა ლანჩავა
თეა ნაკაიძე
გურამ უგრეხელიძე
დიმიტრი კარეტინი
ნოდარ ხარაზიშვილი
ნინო ყაჭიური
ნოდარ მეგრელიშვილი
მაკა კორძაძე
ნათია კალანდარიშვილი

მოწვეული ექსპერტები:

თამარ ვეფხვაძე
ეკატერინე ჩინჩალაძე
ეკატერინე გიგაშვილი

საქართველოს განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროექტი (GEDA):

უესლი სნაიდერი
თინათინ ბოჭორიშვილი
ეკატერინე მამაცაშვილი
ელენე ჯიბლაძე
როჯერ მერილი

1 საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2004-2005 წლის პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგები და შეფასება

„საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულებისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ საქართველოს 1998 წლის 20 ივლისის №418 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 ოქტომბრის №470 ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2004 წლის 28 ოქტომბრიდან გამოაცხადა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის პროგრამის განხორციელება დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლიცენზირებისა და აკრედიტაციის დეპარტამენტს, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშებისა და მათი გადამოწმების შედეგების განხილვა და აკრედიტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სააკრედიტაციო საბჭოს. ხსენებული საბჭოს მიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აკრედიტაცია მიენიჭა 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე.

სახელმწიფოს მიერ დადგენილი პირობები იმ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე

საქართველოს კანონი «უმაღლესი განათლების შესახებ», «საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულება», საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული თვითშეფასების კითხვარის ფორმა ითვალისწინებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინსტიტუციურ აკრედიტაციაში მონაწილეობისათვის შემდეგი ინფორმაციის წარდგენას:

- ა) ზოგადი ინფორმაცია,
- ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება,
- გ) სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალი,
- დ) სტუდენტები,
- ე) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა,
- ვ) დაწესებულების ინფორმატიზაცია,
- ზ) სტუდენტთა სოციალური დაცვა,
- თ) აღმზრდელობითი და სპორტული მუშაობა,
- ი) სტუდენტთა თვითმმართველობა.

აკრედიტაციის პროცესის გავლის შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს განესაზღვრა შემდეგი პირობები:

I	ყველა დაწესებულებას, განურჩევლად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, მიეცა შესაძლებლობა მიეღო ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები;
II	სახელმწიფო სასწავლო გრანტი განთავსდა მხოლოდ აკრედიტებულ დაწესებულებებში;
III	ყველა აკრედიტებული დაწესებულების სტუდენტი გათავისუფლდა სამხედრო სამსახურიდან;
IV	პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის ხარჯები ყველა დაწესებულებისათვის, განურჩევლად მათი სამართლებრივი ფორმისა, დაფარა სახელმწიფომ;
V	ყველა აკრედიტებულ დაწესებულებას პირველი ინსტიტუციური აკრედიტაცია მიენიჭა ორი წლის ვადით და ხელახალ აკრედიტაციას დაექვემდებარება არაუგვიანეს 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე;
VI	სახელმწიფომ ცნო და აღიარა მხოლოდ აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა დიპლომები;
VII	არააკრედიტებული დაწესებულების სტუდენტებმა, რომლებმაც აკრედიტაციის არმინიჭებიდან 2 წლის განმავლობაში დაამთავრეს დაწესებულება მიიღეს სახელმწიფო ნიმუშის მქონე დიპლომი;
VIII	აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს აკრედიტაციის შედეგად განესაზღვრათ მისაღები კონტინგენტი მომდევნო სასწავლო წლისათვის.

აკრედიტაციის პროცესი

აკრედიტაციის სისტემის დანერგვით მთავრობას განზრახული ჰქონდა: უზრუნველყო საზოგადოების ინფორმირება აკრედიტებული დაწესებულებების შესახებ, მოეყვანა შესაბამისობაში საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, გაეხადა ქართული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები კონკურენტუნარიანი შრომის გლობალურ ბაზარზე.

აკრედიტაციის დაწყების საფუძველი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე მომზადებული თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა. დაწესებულებების მიერ სააკრედიტაციო საბჭოში წარმოდგენილი მონაცემების ადგილზე გადამოწმება დაიწყო 2004 წლის 20 ნოემბრიდან.

გადამოწმების მასშტაბი ადვილი წარმოსადგენია აკრედიტაციის მამიებელთა რაოდენობიდან გამომდინარე. დადგენილ ვადაში ინსტიტუციურ აკრედიტაციაზე განაცხადი 227 დაწესებულებამ გააკეთა, ხოლო ვადის გადაცილებით კი 20-მა. უნდა

აღვნიშნოთ, რომ თვითშეფასების ანგარიშების ადგილზე გადამოწმება ფაქტიურად თებერვლის შუა რიცხვებისთვის უნდა დამთავრებულიყო. ცხადია, რომ პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი დროის სიმცირის გამო და მხოლოდ სახელმწიფოს (და არა სასწავლებლების) ინიციატივის პირობებში - იმთავითვე ატარებდა სალიცენზიო პირობების გადამოწმების ხასიათს. აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან დიდი ძალისხმევა იქნა გაღებული ამ პროცესში აკრედიტაციის ელემენტების წარმოსაჩენად. კერძოდ, აკრედიტაცია ნებაყოფლობითი იყო კერძო უნივერსიტეტებისათვის და ეფუძნებოდა თვითშეფასების კითხვარის წარმოდგენას. კითხვარში მოცემული ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება ხდებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ჯგუფის წევრების და ხელმძღვანელის კანდიდატურების შეთანხმება ხდებოდა აკრედიტაციის მამიებელ დაწესებულებებთან. უზრუნველყოფილი იყო საზოგადოებისათვის აკრედიტაციის პროცესის გამჭვირვალობა და აკრედიტაციის პირობების შეფასების საფუძველზე გაეწია კონსულტაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ამოცანის გადასაწყვეტად ორგანიზებულ იქნა 135-მდე ადგილობრივი ექსპერტის შერჩევის და გადამზადების პროცესი შემდეგი მიმართულებებით: კომუნიკაცია, ჯგუფური მუშაობა, აკრედიტაციის ძირითადი პრინციპები, შემაჯამებელი ანგარიშის წერა, ვიზიტის დაგეგმვა. აკრედიტაციისათვის დამოუკიდებელი ექსპერტები მოწვეულნი იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფესიული კავშირების და სხვა კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებიდან. დამოუკიდებელი ექსპერტები ძირითადად შემდეგი კვალიფიკაციით შეირჩნენ: იურისტები, ეკონომისტები, ბიბლიოთეკარები, მაღალი ტექნოლოგიების სპეციალისტები და ტექნიკური განათლების მქონე პირები. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფები შერეული ტიპის იყო. დაიგეგმა და მომზადდა დაწესებულებების გადამოწმების გრაფიკი, მიღწეულ იქნა დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ექსპერტთა კანდიდატურებისა და ვიზიტის პერიოდის შეთანხმება. ექსპერტთა ჯგუფის სიდიდე განისაზღვრა დაწესებულების პერსონალის, სტუდენტთა და დაკავებული ფართის მოცულობასთან მიმართებაში, აკრედიტაციის მამიებლის რესურსების შესაბამისად. ყველაზე მცირე ჯგუფი სამი წევრისგან შედგებოდა, დიდ სახელმწიფო უნივერსიტეტებში 15-20 კაციანი ჯგუფები გაიგზავნა.

2004-2005 წლის ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესის დასაწყებად აუცილებელი იყო 2004 წლისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ინსტიტუტების მდგომარეობის შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავება. ამ დროისათვის არ არსებობდა სრულყოფილი მონაცემთა ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც მოხერხდებოდა მათი განსაზღვრა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭომ დაადგინა, რომ პირველ ეტაპზე გადამოწმებულიყო ყველა აკრედიტაციის მამიებელი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი და მათი ფილიალი, ასევე ნაწილი კერძო უმაღლესი სასწავლებლებისა. აკრედიტაციის მამიებელთა 2/3 ადგილზე გადამოწმების შედეგად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაადგინა თითოეული კრიტერიუმის მინიმალური ზღვარი, განისაზღვრა ქულათა ხვედრითი წონა და 10 ბალიან სისტემაში 6 ქულის მოპოვება დაადგინა აკრედიტაციის მინიჭების პირობად.

ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმები შემდეგნაირად ფასდებოდა:

პირველი: სამეცნიერო ხარისხის პროფესორ-მასწავლებელთა პროცენტული თანაფარდობა პროფესორ-მასწავლებელთა საერთო რაოდენობასთან.

სამეცნიერო ხარისხის მქონე პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა	კრიტერიუმის შეფასება
66%-ზე მეტი	3 ქულა
44-66%-მდე	2 ქულა
22-44%-მდე	1 ქულა
11-22%-მდე	0,5 ქულა
11%-ზე ნაკლები	0 ქულა

მეორე: სასწავლო ფართის ფლობის ფორმა ფასდებოდა შემდეგნაირად:

სასწავლებლის შენობა-ნაგებობების საკუთრების ფორმა	კრიტერიუმის შეფასება
სასწავლებელი, რომელიც საკუთრებაში ფლობდა შენობა-ნაგებობას	ქულა არ აკლდება
საიჯარო ხელშეკრულებით აღებული ფართი	-0,5 ქულა
ხოლო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უნივერსიტეტი, სკოლა, ბაღი) იჯარით აღებული ფართი	-1 ქულა

მესამე: ერთ სტუდენტზე მოსული სალექციო-სალაბორატორიო ფართის შეფასება.

ერთ სტუდენტზე მოსული სალექციო-სალაბორატორიო ფართი	კრიტერიუმის შეფასება
2მ ²	2 ქულა
1მ ²	1 ქულა
1მ ² -ზე ნაკლები	0 ქულა

მეთოდი: ერთ კომპიუტერზე მოსული სტუდენტების რაოდენობა.

ერთ კომპიუტერზე მოსული სტუდენტების რაოდენობა	კრიტერიუმის შეფასება
50 სტუდენტი	2 ქულა
50-100 სტუდენტი	1 ქულა
100-ზე მეტი სტუდენტი	0 ქულა

მეხუთე: ერთ სტუდენტზე მოსული სახელმძღვანეოების რაოდენობა.

ერთ სტუდენტზე მოსული სახელმძღვანეოების რაოდენობა	კრიტერიუმის შეფასება
3 და მეტი სახელმძღვანელო	1 ქულა
1,5-3 სახელმძღვანელო	0,5 ქულა
1,5-ზე ნაკლები სახელმძღვანელო	0 ქულა

მეექვსე: უცხოელი სტუდენტების არსებობის დროს უმაღლესი სასწავლებელი იღებდა დამატებით (წამახალისებელ) ქულას შემდეგი პრინციპით:

უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა	კრიტერიუმის შეფასება
20-ზე მეტი სტუდენტი	2 ქულა
10-20-მდე სტუდენტი	1 ქულა
10-ზე ნაკლები სტუდენტი	0 ქულა

მეშვიდე: დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ვებ-გვერდის არსებობა ფასდებოდა 0,5 ქულით.

მერვე: პირველ კურსზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად შემუშავებული იქნა ფორმულა:

$$n = kbN / 3t$$

$$b \text{ (კვ.მ/სტუდენტი)} < 2$$

$$t \text{ (სწავლების წლები)} = 6 \text{ (სამედიცინო),}$$

$$= 5 \text{ (უნივერსიტეტი),}$$

$$= 4 \text{ (ბაკალავრიატი)}$$

N – თვითშეფასების კითხვარში მოყვანილ სტუდენტთა რაოდენობა შემოწმებული აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ

K – პრემიალური კოეფიციენტი, უტოლდება 1,2-ს მათთვის, ვისაც ჯამში დაუგროვდათ 8 ქულაზე მეტი.

ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმების მიხედვით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასება

პირველი ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი 2005 წლის მაისში დამთავრდა. აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული 227 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან აკრედიტაციის საბჭომ 110 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცნო აკრედიტებულად, ხოლო 117-ს აკრედიტაცია არ მიანიჭა. საერთო რაოდენობის მხოლოდ 48% მოიპოვა აკრედიტაცია: მათგან 32% სახელმწიფო, ხოლო 68% კერძო სასწავლებელი იყო. ამასთან, არაკრედიტებული დაწესებულებებიდან 17% სახელმწიფო, ხოლო 83% კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გახლდათ. აკრედიტებული სასწავლებლების 68% თბილისში იყო კონცენტრირებული, დანარჩენი – მსხვილ რაიონულ ცენტრებში.

აკრედიტაციის საბჭომ ასევე დაადგინა თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის 2005-2006 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი. სულ 2005-2006 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოცხადდა 17341 მისაღები ადგილი. 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩაირიცხა 16507 აბიტურიენტი.

ინსტიტუციური აკრედიტაციის დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემდეგი სტატისტიკური სურათი გამოიკვეთა:

პირველი: სამეცნიერო ხარისხის მქონე პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობის დადგენილ ნორმასთან შესაბამისობა დადასტურდა 227 უმაღლესი სასწავლებლიდან მხოლოდ 31%-ში. აკრედიტებული 110 დაწესებულებიდან მხოლოდ 40%-ში. 2004-2005 წლებისთვის აკრედიტებულ სასწავლებლებში არაკრედიტებულებთან შედარებით 2-ჯერ მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი ასწავლიდა.

მეორე: სასწავლო ფართის ფლობის ფორმასთან დაკავშირებით დადგინდა, რომ უმაღლეს სასწავლებლებს მოწესრიგებული არ ჰქონდათ დოკუმენტაცია. მთლიანობაში სასწავლებლების მხოლოდ 33% ფლობდა შენობებს კერძო საკუთრებაში, 48%-ს საიჯარო ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ხოლო 19%-ს ასევე საიჯარო ხელშეკრულებები ჰქონდა

გაფორმებული საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მათ შორის უმეტესობას - სახელმწიფო სკოლებთან, კოლეჯებთან და უნივერსიტეტებთან. სასწავლო პროცესისათვის აღნიშნული ფართი დღის განმავლობაში რამოდენიმე საათით გამოიყენებოდა. აკრედიტებული სასწავლებლების მხოლოდ 44% ფლობდა საკუთრებაში შენობა-ნაგებობებს, 40% საიჯარო ხელშეკრულებით, ხოლო 16% კი ფუნქციონირებდა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მესამე: 2004-2005 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში ერთ სტუდენტზე მოსული სასწავლო-სალაბორატორიო ფართი საშუალოდ 2,8 კვ.მ.-ს შეადგენდა. აკრედიტებულ სასწავლებლებში ფართი/სტუდენტზე შეფარდების დადგენილ კრიტერიუმს (2 კვ.მ ერთ სტუდენტზე) პასუხობდა 95%, არაკრედიტებულ სასწავლებლებში კი მხოლოდ 46%.

მეოთხე: სულ დაწესებულებებში საშუალოდ ერთი კომპიუტერით 38 სტუდენტი სარგებლობდა. აკრედიტებული სასწავლებლების 94% აკმაყოფილებდა დადგენილ ნორმას - 1:50 შეფარდებას. აკრედიტებული სასწავლებლების 1/3-ში ერთი კომპიუტერით დაახლოებით 20 და მეტი სტუდენტი სარგებლობდა.

მეხუთე: საშუალოდ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების მიხედვით ერთ სტუდენტზე 13 წიგნი მოდიოდა. აკრედიტებული სასწავლებლების 90% პროცენტი აკმაყოფილებდა აკრედიტაციის კრიტერიუმებით მოთხოვნილ ნორმას - სამი წიგნადი ერთეული ერთ სტუდენტზე. აკრედიტებულთა ნახევარზე მეტს ერთ სტუდენტზე 10 წიგნადი ერთეული გააჩნდა.

მეექვსე: 2004 წლისათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 1637 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. ისინი სტუდენტთა საერთო რაოდენობის 1.3% შეადგენდნენ. აკრედიტებულ სასწავლებლებში გადანაწილებულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 636-ს, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 1%-ზე ნაკლები იყო.

მეშვიდე: საშუალოდ უმაღლეს სასწავლებელთა 34%-ს ჰქონდა ვებ-გვერდი. აკრედიტებულ სასწავლებელთა 53%-ს - საკუთარი ელექტრონული მისამართი. საკუთარი ვებ-გვერდის მქონე სასწავლებელთა ხვედრითი წილი აკრედიტებულთა შორის 3-ჯერ მეტი იყო, ვიდრე არაკრედიტებულ სასწავლებლებში.

მერვე: სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის 86% გადანაწილდა.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადი ხასიათის ხარვეზებისა და დარღვევების შესახებ

2004-2005 წლების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესმა გვიჩვენა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული შემდეგი დარღვევები და ხარვეზები:

პირველი: კორუფციის მაღალი დონე, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ სექტორში. სტუდენტთა ჩარიცხვის, კურსიდან კურსზე გადაყვანის, სხვა დაწესებულებაში სტუდენტთა გადასვლის გაყალბების მრავალრიცხოვანი ფაქტები. ასევე სტუდენტთა ჩარიცხვისა და მოძრაობის, საქმისწარმოებით გათვალისწინებულ აუცილებელ დოკუმენტთა დარღვევით აღრიცხვა, აკადემიური პერსონალის ხუთიდან თოთხმეტამდე უმაღლეს საწავლებელში სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა. გაყალბებული ან წესის დარღვევით დადებული ფართის ფლობის, კომპიუტერების ფლობისა და საბიბლიოთეკო ფონდების ფლობის ხელშეკრულებები.

მეორე: სასწავლებლებს ხელშეკრულებები ხანმოკლე ვადით ჰქონდათ გაფორმებული. ხელშეკრულების დამდები პირები უფლებამოსილნი არ იყვნენ აღნიშნული დოკუმენტის გაფორმებაზე. არ არსებობდა უამრავი ქონების საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, რაც დაადასტურებდა ხელშეკრულების პირთა უფლებამოსილებას ფართის განკარგვაზე.

მესამე: არ არსებობდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა და რეესტრი. ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგების დამუშავებამ შესაძლებელი გახადა აკრედიტებულ სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა უნიკალური სიის დადგენა. საშუალოდ საქართველოს აკრედიტებულ სასწავლებლებში დასაქმებული აღმოჩნდა 10000-მდე პირი. მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა სასწავლო-სამეცნიერო სამუშაოს ახორციელებდა ოთხ და მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ზოგიერთი მათგანი ირიცხებოდა 14 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მეოთხე: საფინანსო რესურსების არასრულყოფილი და წესის დარღვევით აღრიცხვა. დაწესებულებების გარკვეულ ნაწილს არასწორად ჰქონდა ნაწარმოები აღრიცხვა ანგარიშგების დოკუმენტაცია.

მეხუთე: მოუწყობელი და მოძველებული საბიბლიოთეკო ფონდები და ბიბლიოთეკები. მიუხედავად ზევით მითითებული პროცენტული მაჩვენებლებისა, წიგნადი ფონდების ვარგისიანობა დიდ ეჭვს იწვევდა. აკრედიტაციის პროცესში არ გადამოწმებულა მათი განახლებისა და სარგებლიანობის რეჟიმები. ზოგადად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ძალიან მცირე ფინანსურ რესურსს დებდნენ წიგნადი ფონდის განახლებაში. ახალი პერიოდიკის არსებობა კი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. ასევე თვალშისაცემი იყო სტუდენტთა მიერ ბიბლიოთეკებით სარგებლობის დაბალი მაჩვენებელი. სასწავლებელთა უმრავლესობა არ ფლობდა ელექტრონულ ბიბლიოთეკებს, არ იყო ჩართული მსოფლიო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელებში. სტუდენტები თითქმის მოკლებულნი იყვნენ ამ ტიპის მომსახურებას დაწესებულებების მხრიდან.

მეექვსე: დაფიქსირდა კომპიუტერული ტექნოლოგიების სიმცირე. არსებული ტექნიკა მოძველებული იყო და ვერ პასუხობდა თანამედროვე სტანდარტებს. სტუდენტთა ფართო წრისთვის ინტერნეტი და კომპიუტერული კლასები/ლაბორატორიები მიუწვდომელი იყო.

მეშვიდე: გადამოწმებამ აჩვენა ვებ-გვერდების სიმცირე და შინაარსობრივი დაუტვირთაობა. ვებ-გვერდები ვერ ასრულებდნენ მთავარ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ფუნქციას. ძნელად გასარჩევი იყო საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი დომეინური სახელის გამო.

მერვე: დადასტურდა ერთ სტუდენტზე მოსული სასწავლო-სამეცნიერო ფართის სიმცირე.

მეცხრე: თვალსაჩინო იყო სტუდენტური მომსახურების დაბალი დონე. დაწესებულებათა უმეტესობას არ ჰქონდა საერთო საცხოვრებლები, კვების და ჯანდაცვის ცენტრები.

სტუდენტთა ჩარიცხვის და მოძრაობის აღრიცხვიანობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

აკრედიტაციის პროცესმა წარმოაჩინა საქმისწარმოებისა და სტუდენტთა აღრიცხვიანობის დიდი დარღვევები. თუმცა, ამ საკითხის დეტალური გადამოწმება შეუძლებელი აღმოჩნდა პირველი აკრედიტაციის ფარგლებში. სტუდენტთა აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით პირველად სახელმწიფოს მიერ (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №584 ბრძანება და 2006 წლის 14 თებერვლის №111 ბრძანება) ჩატარდა საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ჩარიცხვის, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოყვანის და მომდევნო კურსებზე სტუდენტთა გადაყვანის მიხედვით, ადმინისტრაციული აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება, სტუდენტთა აღრიცხვა და სახელობითი სიების დადგენა.

2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის მარტის ჩათვლით 70-მდე მოწვეული ექსპერტი სპეციალურად მომზადდა აღნიშნული დავალების შესასრულებლად. მათ მიერ აღნიშნულ პერიოდში გადამოწმდა 115 აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და მათი ფილიალი. პირველ ეტაპზე გადამოწმებულ იქნა კერძო და ნაწილი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. დიდი რესურსების მქონე სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები კი შემოწმდა მეორე ეტაპზე.

სტუდენტთა ჩარიცხვის, კურსიდან კურსზე გადაყვანის, გარიცხვის და ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის ბრძანებების, ბრძანებათა რეგისტრაციის ჟურნალების, სტუდენტთა პირადი საქმეების და მასში არსებული დოკუმენტების გადამოწმებამ ცხადყო საქმის არასრულფასოვანი წარმოების, სტუდენტთა ჩარიცხვისა და მოძრაობის წესის დარღვევები:

პირველი: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ გააჩნდათ შიდა ბრძანებით დარეგულირებული საქმისწარმოების ერთიანი წესი, რის გამოც სტრუქტურულ ერთეულებში საქმისწარმოება სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა და არ ხდებოდა სტუდენტთა სისტემური აღრიცხვა.

მეორე: სახელმწიფო უნივერსიტეტებში და მათ ფილიალებში არ არსებობდა კურსიდან კურსზე გადაყვანის ერთიანი ბრძანებები, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები და კომპიუტერული პროგრამები. რიგ შემთხვევაში სტუდენტთა მოძრაობა ხდებოდა ინდივიდუალური ბრძანებებით, რაც შეუძლებელს ხდიდა გონივრულ ვადაში დადგენილიყო სტუდენტის მოზილობა.

მესამე: ვერ ხერხდებოდა სტუდენტთა სისტემატიზებული, ზუსტი აღრიცხვა. მეოთხე, უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციამ არ იცოდა მათთან რიცხული სტუდენტების ზუსტი რაოდენობა. ერთი შეხედვით უმარტივეს კითხვაზე «რამდენი სტუდენტია ფაკულტეტზე ან დაწესებულებაში?» პასუხის გაცემა შესრულებული გადამოწმების შემდეგაც ძნელი აღმოჩნდა.

ზოგადად, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ჩარიცხვებთან და მოძრაობასთან დაკავშირებით შემდეგი ხასიათის დარღვევები დაფიქსირდა:

- სტუდენტთა ჩარიცხვები ნაწარმოებია ზოგადი საშუალო განათლების ატესტატის გარეშე საბაზო განათლების ატესტატებით.
- სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელებულია ეროვნული გამოცდების შედეგების შესახებ გაყალბებული წერილების საფუძველზე;
- მრავლადაა იმ ასაკის სტუდენტთა ჩარიცხვის ფაქტები, რომელთაც ზოგადი განათლების ატესტატი აღებული აქვთ მე-10 კლასის დასრულების შემდეგ. მესამე და მეოთხე კურსზე სწავლობენ 18-19 წლის სტუდენტები, რაც მიღების წესის გაყალბებაზე მიუთითებს;
- გაყალბებული ზოგადი საშუალო განათლების ატესტატის საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები;
- ზოგადი საშუალო განათლების ატესტატის წარმოდგენის გარეშე ჩარიცხული სტუდენტები;
- სტუდენტები, რომლებიც არ იყვნენ დაფიქსირებული ჩარიცხვის ან გადმოყვანის ბრძანებებში;
- ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის გარეშე;
- სტუდენტის ხელშეკრულების პირობის უბეში დარღვევით სტუდენტთა ხანგრძლივი დროით პირობითად ჩარიცხვა აკადემიური და ფინანსური დავალიანების გამო, აღდგენის უფლებით;
- სტუდენტის პირადი ინფორმაცია (სახელი გვარი, დაბადების წელი) არ ემთხვევადა ჩარიცხვის და კურსიდან კურსზე გადაყვანის ბრძანებებში მითითებულ მონაცემებს;
- არასრული, ნახევრად შეესებული (არ იყო გაცემის თარიღი, სკოლის დასახელება და ა.შ.) ან არასრული ინფორმაციის მქონე ატესტატებით ჩარიცხვა.

2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის იურიდიული წანამძღვრები, მისია, მიზნები, სტრუქტურა და ფუნქციები

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დაფუძნების სამართლებრივი საფუძველია „უმაღლესი განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონები. კერძოდ, იგი დაფუძნდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის «ყ» პუნქტისა და 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2006 წლის 27 მარტს.

სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და იგი ახორციელებს ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციას უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სამსახურის მიზნები

სამსახურის მიზანს წარმოადგენს:

1. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან და წესებთან შესაბამისობაში მოყვანა, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების/საგანმანათლებლო პროგრამების სტატუსის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემის უფლების დადგენა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან და დადგენილ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა.

4. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა აღრიცხვა და მონაცემთა შესაბამისი ბაზის ფორმირება.

სტრუქტურა და მართვა

სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც სამინისტროს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
ცენტრის დირექტორი:

✓ წარმოადგენს ცენტრს და პასუხს აგებს ცენტრის საქმიანობის კანონიერად წარმართვაზე;
✓ კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომის ხელშეკრულებებს, მათ მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;
✓ ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს. აკონტროლებს ცენტრის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;
✓ ხელშეკრულების საფუძველზე უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტები, მათ შორის უცხოელი, კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად;
✓ უზრუნველყოფს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კონტროლს;
✓ იღებს გადაწყვეტილებებს ფინანსური სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ;
✓ ადგენს აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის კრიტერიუმებს და გადამზადების წესს, ამტკიცებს აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსს;
✓ კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს.
✓ სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგს;
✓ ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს და საქმისწარმოების წესს;
✓ მინისტრს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
✓ მინისტრს წარუდგენს ცენტრის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს;
✓ ადგენს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რეესტრის წარმოების წესს სამინისტროსთან შეთანხმებით;

დირექტორი ექსპერტთა დასკვნისა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციასთან დაკავშირებით იღებს შემდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

✓ აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;
✓ აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;
✓ აკრედიტაციის პირობით მინიჭების შესახებ;
✓ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.

დირექტორი პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ფინანსური რესურსების განკარგვაზე.

ცენტრი თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

ცენტრი შედგება სამი სამმართველოსგან:



თითოეული სტრუქტურული ერთეული თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ცენტრის დებულებით და დებულებით სტრუქტურული ერთეულების შესახებ.

რესურსების სამმართველოს ძირითადი ფუნქციები:

ცენტრის ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების, რეკომენდაციების მომზადება და ცენტრის დირექტორისათვის (შემდგომში დირექტორისათვის) წარდგენა. აღნიშნული ფუნქციების შესრულების მიზნით, რესურსების სამმართველო უზრუნველყოფს:

ცენტრის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასა და დირექტორისათვის წარდგენას, ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებას, ფინანსური და მატერიალური რესურსების მიზნობრივი ხარჯვის კონტროლს, აგრეთვე ცენტრის შესყიდვებთან დაკავშირებულ პროცედურების განხორციელებას;

კანონმდებლობით დადგენილი წესით ცენტრის საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ბალანსის შედგენასა და ხარჯთაღრიცხვას; ცენტრის საშტატო განრიგისა და შინაგანაწესის შემუშავებას, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებას, ცენტრში ვაკანტურ ადგილებზე თანამშრომელთა და აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევი კონკურსის ორგანიზებას, ცენტრის თანამშრომელთა და აკრედიტაციის ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რეესტრის წარმოებას;

საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობას ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით, ცენტრის ვებ-გვერდის დიზაინის მომზადებას და მის შემდგომ ექსპლუატაცია-განახლებას, აგრეთვე კომპიუტერული ტექნიკის სისტემურ ადმინისტრირებას

აკრედიტაციის სამმართველოს ძირითადი ფუნქციები:

საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების, რეკომენდაციების მომზადება და დირექტორისათვის წარდგენა. აღნიშნული ფუნქციების შესრულების მიზნით, აკრედიტაციის სამმართველო უზრუნველყოფს:

თვითშეფასების კითხვარის, ყოველწლიური სააკრედიტაციო ანგარიშისა და აკრედიტაციის მოწმობის ფორმის შემუშავებას, აგრეთვე საგანმანათლებლო

დაწესებულებების მიერ თვითშეფასების კითხვარის, აკრედიტაციის პირობების შესრულების ანგარიშების წარმოდგენის კონტროლს;

საგნმანათლებლო დაწესებულებებისა და აკრედიტაციის ექსპერტებისათვის აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებასა და კონსულტაციის გაწევას;

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების შექმნის პროცესის წარმართვასა და ექსპერტთა ანგარიშების კონტროლს, აგრეთვე კვლევების განხორციელებას აკრედიტაციის ექსპერტთა რეიტინგის დადგენის მიზნით და ექსპერტების მონაცემთა ბაზის წარმოებას;

საჯარო ინფორმაციის გაცემას;

საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობის კოორდინაციას;

იურიდიული სამმართველოს ძირითადი ფუნქციები:

იურიდიული სამმართველოს ძირითადი ფუნქციაა ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, აკრედიტაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების შესწავლა, შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების, რეკომენდაციების მომზადება და ცენტრის დირექტორისათვის წარდგენა. ამ ფუნქციის შესასრულებლად იურიდიული სამმართველო უზრუნველყოფს:

ცენტრის საქმიანობის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან;

ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავებას და მათ შესაბამისობას უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან, აგრეთვე ცენტრის დებულებიდან გამომდინარე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის წარსადგენი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებას;

ცენტრის წარმომადგენლობას სასამართლოში;

ცენტრის დირექტორისა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას;

ასრულებს ცენტრის დირექტორის მიერ სამმართველოს ძირითადი ფუნქციის ფარგლებში განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.



განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო

ცენტრთან შექმნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო, რომლის თავმჯდომარეს და წევრებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი სამი წლის ვადით.

საბჭო ფუნქციონირებს 2006 წლის 19 ივლისიდან 9 კაცის შემადგენლობით:



ნინო ხურციძე
ამერიკის იურისტთა
ასოციაციის
ცენტრალური ევროპისა
და ევრაზიის
სამართლებრივი
ინიციატივის უფროსი
იურიდიული მრჩეველი
- საბჭოს თავმჯდომარე.

”უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს ძირითადი მიზანია საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება. ამისათვის რამდენიმე საფეხურის გავლა არის საჭირო. ერთ-ერთი გახლავთ ინსტიტუციური აკრედიტაცია, რომელიც წარმატებით იქნა განხორციელებული აკრედიტაციის საბჭოსა და განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან ერთობლივი მუშაობის შედეგად. შემდგომი ეტაპი იქნება პროგრამული აკრედიტაცია, რომლისთვისაც აუცილებელია ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამივე რეგულირებადი პროფესიის წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობას. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შედეგად იქნება შესაძლებელი საქართველოში ჭეშმარიტად მაღალი ხარისხის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება და ჩვენი მომავალი თაობების ღირსეული განათლებით უზრუნველყოფა. აკრედიტაციის საბჭო, თავის მხრივ, მის მიერ მიღებულ ნებისმიერ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კვლავაც განუხრელად იხელმძღვანელებს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით”.

- თეიმურაზ სამადაშვილი** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე – თავმჯდომარის მოადგილე;
- ჩიორა თაქთაქიშვილი** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე;
- გიორგი თოდუა** – ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;
- ნინო ოკრიბელაშვილი** – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;
- რამაზ ქვათაძე** – საქართველოს სამეცნიერო - საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენას“ აღმასრულებელი დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოს მდივანი;
- ირაკლი ღარიბაშვილი** – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი;
- ბორის გითოლენდია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს მიზანია საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება. ის შეისწავლის აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს ცენტრს. ეს რეკომენდაციები შემდეგი სახისაა:

- | |
|---|
| ა. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ; |
| ბ. აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ; |
| გ. აკრედიტაციის პირობით მინიჭების შესახებ; |
| დ. აკრედიტაციის გაუქმების შესახებ. |

საბჭოს აღნიშნულ რეკომენდაციებს ეფუძნება ცენტრის დირექტორის შესაბამისი გადაწყვეტილებები.

2006 წელს ჩატარებული ინსტიტუციური აკრედიტაცია

4

4.1. ჩატარების წესი და პრინციპები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №223 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულებით დადგინდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმები და განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებულებებისათვის აკრედიტაციის მინიჭების, აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის, პირობითი აკრედიტაციის მინიჭების, აკრედიტაციის პირობების შემოწმების, აკრედიტაციის გაუქმებისა და მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის პირობები, აგრეთვე ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრულ ოდენობები. დაწესებულების აკრედიტაცია ემყარება ურთიერთშეთანხმების პრინციპს, რაც გულისხმობს აკრედიტაციის ნებაყოფლობითობას და კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტთა კანდიდატურების შეთანხმებას აკრედიტაციის მამიებელ დაწესებულებასთან. დაწესებულების აკრედიტაცია გულისხმობს აგრეთვე მისი ფილიალის/ფილიალების პირობების შესაბამისობის დადგენას ამ დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. აკრედიტაციის შედეგად განისაზღვრება დაწესებულების სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი. აკრედიტებული დაწესებულებისა და ამ დაწესებულების ფილიალის/ფილიალების მისაღებ სტუდენტთა რაოდენობები დგინდება ცალ-ცალკე.

4.2. აკრედიტაციის ექსპერტები

ცენტრი დაწესებულების აკრედიტაციის ჩატარების მიზნით ქმნის ექსპერტთა ჯგუფებს. კონკრეტული დაწესებულების აკრედიტაციის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის შექმნა იწყება დაწესებულების მიერ განაცხადის წარმოდგენის დღიდან. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ როგორც საქართველოს, აგრეთვე



უცხო ქვეყნის მოქალაქეები, საგანმანათლებლო, კვლევითი, პროფესიული დაწესებულებების და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, სხვა პირები. ექსპერტთა ჯგუფი შედგება თავმჯდომარისა და არანაკლებ 2 ექსპერტისაგან. ექსპერტთა ჯგუფის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის მიერ შესამოწმებელი დაწესებულების სტუდენტთა რაოდენობის, სტრუქტურული ერთეულების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიდიდით. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობას აკრედიტაციის მაძიებელ მხარესთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.

ექსპერტის სტატუსი

ექსპერტი უნდა იყოს დამოუკიდებელი იმ დაწესებულებისაგან, რომლის აკრედიტაციასაც ახორციელებს ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტის კანდიდატურა უნდა იყოს მოწონებული შესამოწმებელი დაწესებულების მიერ. დაწესებულებას უფლება აქვს ორჯერ მისცეს აცილება როგორც ექსპერტთა ჯგუფს მთლიანობაში, ასევე მის თითოეულ ექსპერტს. ექსპერტი ვალდებულია იცნობდეს აკრედიტაციის ჩატარების კრიტერიუმებს, წესს, აგრეთვე ჰქონდეს უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ შესაბამისი ცოდნა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არ უნდა იყოს საჯარო მოხელე, და იმ დაწესებულების ყოფილი ან მოქმედი თანამშრომელი, რომლის აკრედიტაციის კრიტერიუმებთან შესაბამისობასაც იგი ამოწმებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს გამოცდილება უმაღლესი განათლების დარგში.

ექსპერტთა რეესტრი

ცენტრი ქმნის აკრედიტაციის ექსპერტთა და ექსპერტთა კანდიდატების მონაცემთა ბაზას. მონაცემთა ბაზაში შეიძლება შეტანილ იქნას მონაცემები ექსპერტთა შესახებ საზოგადოებრივი აზრის და პროფესიულ საზოგადოებებში კანდიდატების შეფასების შესახებ რეიტინგული კვლევის საფუძველზე. ექსპერტთა კანდიდატების წარდგენა შეუძლიათ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, პროფესიულ ასოციაციებს, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების ორგანიზაციებს. ექსპერტი შეიძლება იყოს აგრეთვე ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებს ადგენს და აქვეყნებს ცენტრი.

ექსპერტთა ტრენინგი

ექსპერტებს შეიძლება ჩაუტარდეთ ტრენინგი ცენტრის მიერ დადგენილი წესით.

ტრენინგის დროს ექსპერტმა უნდა ისწავლოს ჯგუფური მუშაობის ძირითადი პრინციპები, ინტერვიუება, თვითშეფასების ანგარიშის ანალიზი, მიღებული მასალების შეფასება, სააკრედიტაციო დასკვნის წერა, აკრედიტაციასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვალდებულია:

ა)	აწარმოოს წინასწარი მოლაპარაკება საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სააკრედიტაციო ვიზიტის შესახებ, და ცენტრის დირექტორისა და დაწესებულების შეთანხმების შესაბამისად განახორცილოს სააკრედიტაციო ვიზიტი;
ბ)	უხელმძღვანელოს აკრედიტაციის პროცესს, უზრუნველყოს კომისიის წევრთა შორის მოვალეობათა განაწილება და ანგარიშის ჩაბარება;
გ)	უზრუნველყოს შეხვედრების ორგანიზაცია და კავშირები დაწესებულებასთან;
დ)	უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მომზადება.

ექსპერტთა შრომის ანაზღაურება

ექსპერტთა შრომის ანაზღაურების, მათი მგზავრობისა და დღიური ხარჯების ანაზღაურების წესს განსაზღვრავს ცენტრი.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხისმგებლობა

ექსპერტთა ჯგუფი ვალდებულია:

- საკრედიტაციო ვიზიტის წინ მოახდინოს თვითშეფასების ანგარიშისა და სხვა წარმოდგენილი მასალების ანალიზი;
- ვიზიტის დროს მიიღოს მონაწილეობა მასალების შეგროვებაში, აზრების გაზიარებაში, შემოწმებასა და თვითშეფასების ანგარიშის შინაარსის განხილვაში;
- ჩაატაროს სტუდენტთა, აკადემიური და დამხმარე პერსონალის, აგრეთვე სხვა პირების ინტერვიუება;
- შეამოწმოს სააკრედიტაციოდ გამოტანილი ყველა საკითხი;
- მონაწილეობა მიიღოს ვიზიტის შემდგომი დასკვნის შემუშავებაში.

4.3. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა

აკრედიტაციის პროცესში ერთ-ერთი საპასუხისმგებლო როლი აკრედიტაციის ექსპერტებს ეკისრებათ, რომელთა მიზანია უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარში მოცემული ინფორმაციის/მონაცემების გადამოწმება და მათი შესაბამისობის დადგენა რეალურ ვითარებასთან. აკრედიტაციის ექსპერტთა სათანადო კომპეტენცია, უნარები, კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობის ხარისხი მნიშვნელოვნად განაპირობებს სააკრედიტაციო სისტემის ეფექტურ მუშაობას.

2006 წლის ინსტიტუციური აკრედიტაციის ჩასატარებლად აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესის დამტკიცების მიზანი იყო აკრედიტაციის კვალიფიციური ექსპერტების მოძიება და ამ გზით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის სრულფასოვნად განხორციელების უზრუნველყოფა. აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა ხორციელდებოდა ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმების შესაბამისად.

აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა შეეძლო: საქართველოს მოქალაქეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს, აგრეთვე საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი კურსის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს. ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა კანდიდატების წარდგენა შეეძლოთ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, პროფესიულ ასოციაციებს, საერთაშორისო და უცხო ქვეყნის ორგანიზაციებს.

განისაზღვრა აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის შემდეგი ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმები

ძირითადი: უმაღლესი განათლება, კვალიფიკაციით მუშაობის გამოცდილება.

დამატებითი: ზოგადი ცოდნა უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, ანალიტიკური აზროვნების, კომუნიკაბელურობის, ჯგუფში მუშაობის უნარ – ჩვევები, დამატულ სიტუაციაში თავის მართვის უნარი, გარემოსა და სიტუაციის აღქმის, ობიექტურად შეფასებისა და მიუკერძოებლად განსჯის უნარი, ქართულ ენაზე აზრის წერილობით დახვეწილად გადმოცემის უნარი და წერის მაღალი კულტურა.

აკრედიტაციის ექსპერტის კანდიდატებს კვალიფიკაციის მიხედვით უნდა შეძლებოდათ აკრედიტაციის მამიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირობების შესაბამისობის დადგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №223 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრული ინსტიტუციური აკრედიტაციის ერთ-ერთ ძირითად ან/და დამატებით კრიტერიუმთან მაინც.

აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევა განხორციელდა ორ ეტაპად:

პირველი ეტაპის დროს დადგინდა კანდიდატის მონაცემების შესაბამისობა აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის ძირითად კრიტერიუმებთან.

მეორე ეტაპის დროს კი - კანდიდატის მონაცემების შესაბამისობა აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის დამატებით კრიტერიუმებთან, აგრეთვე კანდიდატის გამოცდილების შესაბამისობა აკრედიტაციის მიზნებთან.

კანდიდატი პირველი ეტაპის წარმატებით გავლით, საკვალიფიკაციო ტრენინგის შემდეგ დაშვებულ იქნა მეორე ეტაპზე.

საკვალიფიკაციო ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა:

აკრედიტაციის ექსპერტთა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ აკრედიტაციასთან დაკავშირებული საკითხების სრულფასოვნად შესწავლის ხელშეწყობა და უზრუნველყოფა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ტრენინგის ზოგადი შინაარსი

ტრენინგის შინაარსი მოიცავდა იმ ინფორმაციასა და დოკუმენტურ მასალას, რომელიც ეხებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციურ აკრედიტაციას. ტრენინგის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს:

ა)	აკრედიტაციის ჩატარების პრინციპები, კრიტერიუმები და წესი;
ბ)	აკრედიტაციასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
გ)	თვითშეფასების კითხვარის ანალიზი;
დ)	საკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების, ლიდერობისა და ჯგუფური მუშაობის პრინციპები;
ე)	ინტერვიუება;
ვ)	საკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული მასალების შეფასება;
ზ)	საკრედიტაციო დასკვნის შედგენა.

ტრენინგის ჩატარების უზრუნველყოფა და განრიგი

ტრენინგი ჩატარდა ცენტრის მიერ დადგენილი განრიგით.

ტრენინგის კურსები განაწილდა დღეების მიხედვით. ტრენინგის თითოეული კურსი გაგრძელდა 3 საათის განმავლობაში და მოიცავდა ტრენინგის შინაარსით გათვალისწინებულ მინიმუმ ორ თემას.

ტრენინგის ჩატარებას უზრუნველყოფდნენ ცენტრის თანამშრომლები და ცენტრის მიერ მოწვეული სპეციალისტები. თითოეული თემის განხილვას უძღვებოდა არანაკლებ ორი ტრენერი.

ტრენინგის პირველი კურსის მიზანი და შინაარსი

ტრენინგის პირველი კურსის მიზანი იყო აკრედიტაციის ექსპერტებისათვის ცენტრის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციისა და აკრედიტაციის პრინციპების გაცნობა.

ამ მიზნის მისაღწევად ტრენერი აკრედიტაციის ექსპერტებს წვრთნიდა შემდეგი მიმართულებით:

ა)	ზოგადი ინფორმაცია ცენტრის შესახებ;
ბ)	აკრედიტაციის მიზანი;
გ)	აკრედიტაციის პროცესისა და ჩატარებული აკრედიტაციის შედეგების ზოგადი მიმოხილვა;
დ)	ექსპერტთა ეთიკის კოდექსის პროექტის განხილვა;
ე)	კომუნიკაციის, ლიდერობის და ჯგუფური მუშაობის პრინციპები.

ტრენინგის მეორე კურსის მიზანი და შინაარსი

ტრენინგის მეორე კურსის მიზანს წარმოადგენდა აკრედიტაციის ექსპერტებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N223 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 10 მარტის N174 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის და მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის ფორმულის პროექტის მუხლობრივი გაცნობა.

ტრენინგის მესამე კურსის მიზანი და შინაარსი

ტრენინგის მესამე კურსი მიზნად ისახავდა აკრედიტაციის ექსპერტთა კონკრეტული უნარების ჩამოყალიბებასა და გავარჯიშებას, რისთვისაც მათი წვრთნა ხორციელდებოდა შემდეგი მიმართულებებით:

ა)	ფართის ფლობასთან დაკავშირებული საკითხები და გადასამოწმებელი დოკუმენტაციის განხილვის წესი;
ბ)	სასწავლო პროცესის საფინანსო უზრუნველყოფის წინასწარი გაანგარიშების დოკუმენტაციის შემოწმების წესი;
გ)	აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის გადამოწმების წესი;
დ)	სპეციალობების გადამოწმების წესი;
ე)	კომპიუტერების რაოდენობის გადამოწმების წესი;
ვ)	ბიბლიოთეკის პირობების გადამოწმების წესი;
ზ)	ვებ-გვერდის გადამოწმების წესი;
თ)	სასწავლო და სამეცნიერო ინვენტარის არსებობის გადამოწმების წესი;
ი)	სასწავლო გეგმების შემოწმების წესი;
კ)	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ორგანიზაციის შემოწმების წესი;
ლ)	ინტერვიუების მეთოდოლოგია.

ტრენინგის მეოთხე კურსის მიზანი და შინაარსი

ტრენინგის მეოთხე კურსის მიზანი იყო აკრედიტაციის ექსპერტთაგან მათი კვალიფიკაციისა და აკრედიტაციის კრიტერიუმების მიხედვით ჯგუფების შექმნა.

ექსპერტთა ჯგუფის სრულყოფილი დასკვნის წარმოდგენის მიზნით თითოეულ ჯგუფს ჩაუტარდა დეტალური ინსტრუქტაჟი შესაბამისი საკითხის შემოწმების, აღწერისა და დასკვნის შედგენასთან დაკავშირებით და განხილულ იქნა კერძო შემთხვევა.

ტრენინგის შინაარსის შესწავლის სავალდებულობა

ტრენინგის თითოეულ კურსზე დასწრება და ტრენინგის შინაარსის შესწავლა სავალდებულო იყო აკრედიტაციის ყველა ექსპერტისთვის.

ტრენინგის შინაარსის შესწავლის შემოწმების მიზნით, ტრენინგის სრული კურსის დასრულების შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტებს ჩაუტარდათ ტესტირება. ტესტი შედგენილი იყო ტრენინგის შინაარსის შესაბამისად და შეიცავდა 24 კითხვასა და თითოეული კითხვის 4 სავარაუდო პასუხს, რომელთაგან სწორი გახლდათ მხოლოდ ერთი პასუხი. ტესტის შევსების დრო არ აღემატებოდა 30 წუთს.

აკრედიტაციის ექსპერტი წარმატებით გაივლიდა ტესტირებას იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ დროში სწორად ამოხსნიდა ტესტის კითხვების რაოდენობის არანაკლებ 2/3-ს. ტესტები შემოწმდა ტრენინგის მიერ და აკრედიტაციის თითოეული ექსპერტის შედეგი, მის მიერ შევსებულ თანდართულ ტესტთან ერთად წარედგინა დირექტორს.

საბოლოოდ შეირჩნენ ის კანდიდატები, რომელთაც დააკმაყოფილეს აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი კრიტერიუმები, წარმატებით გაიარეს გასაუბრება და ტესტირება.

სულ განაცხადი აკრედიტაციის ექსპერტის შესარჩევ კონკურსში **შემოიტანა 147** პირმა. აქედან **118 შეირჩა** ინტერვირებით, ტესტირების შედეგად კი შერჩეული იქნა 96 ექსპერტი. **ხელშეკრულება გაფორმდა 95 ექსპერტთან.**

4.4. აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება. საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან და წესებთან შესაბამისობაში მოყვანა, მათი სტატუსისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემის უფლების დადგენა. ეს ყოველივე კი შეადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიზანს.

ამ მიზნის მისაღწევად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, ქმნის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფებს,

რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ფაქტობრივი პირობების დადასტურებას, რის საფუძველზეც ცენტრი იღებს აკრედიტაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, მათ მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად, ობიექტურად და კომპეტენტურად განხორციელების, ასევე საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვის მიზნით, ს.ს.ი.პ. – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2006 წლის 6 ივნისის №11 ბრძანებით დამტკიცდა აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი.

4.5. სააკრედიტაციო ვიზიტი და ექსპერტთა ანგარიშვალდებულება

სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს გააჩნდა შემდეგი ინფორმაცია:

- კონკრეტული ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარი აუცილებელი ინფორმაციით;
- ფაკულტეტების ჩამონათვალი;
- სტუდენტთა სახელობითი სია;
- პროგრამების ჩამონათვალი;
- აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასების ფორმები (ჯგუფის თავმჯდომარისა და წევრებისათვის).

ჯგუფის ხელმძღვანელის ანგარიში ცენტრისადმი

ჯგუფის ხელმძღვანელი ცენტრის დირექტორს წარუდგენდა წერილობით ანგარიშს, რომელიც ასახავდა შემდეგ ინფორმაციას:

- აკრედიტაციის საორგანიზაციო პროცესის შესახებ;
- დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პროცესის ხელშემწყობი პირობების შესრულების შესახებ (იყო თუ არა გამოყოფილი ცალკე ოთახი, შესაბამისი ტექნიკა, ადამიანური რესურსი, აწვდიდნენ თუ არა ყველა დოკუმენტს და სხვა);
- ჯგუფის წევრებზე მოვალეობების გადანაწილებას რესურსების გათვალისწინებით;
- აკრედიტაციის პერიოდის შესახებ;
- ჯგუფის წევრების მიერ შესავსები ფორმების ადექვატურობის, სრულყოფილების შესახებ;
- მომხდარი ინციდენტის შესახებ (თუ ადგილი ჰქონდა მსგავსს სიტუაციას);

სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ექსპერტები ვალდებული იყვნენ შეედგინათ აკრედიტაციის თემატური და შემაჯამებელი დასკვნები. აღნიშნული ინფორმაციის ცენტრისათვის სრულყოფილად მოწოდებისათვის, ჯგუფის ხელმძღვანელი გეგმავდა ღონისძიებებს და ახორციელებდა მათ ჯგუფის წევრების თანამონაწილეობით. ჯგუფის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ შემაჯამებელი დასკვნის მომზადებაში და ხელმოწერით ადასტურებდნენ მას.

ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმები

5

ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმები არის 2 სახის:

ა)	ბ)
ძირითადი კრიტერიუმები	დამატებითი კრიტერიუმები

ინსტიტუციური აკრედიტაციის ძირითადი კრიტერიუმები

დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის ძირითადი კრიტერიუმებია:

- ა) არანაკლებ 1000 მ² ფართი ერთ მისამართზე;
- ბ) ერთ სტუდენტზე არანაკლებ 4 მ² ფართი, რომელიც გამოიყენება სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის და აღჭურვილია სტუდენტთა განთავსებისათვის აუცილებელი ინვენტარით;
- გ) ერთი პროფესორი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) არა უმეტეს 30 სტუდენტზე;
- დ) დაწესებულების მიერ სპეციალობების ჩამონათვალის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით) წარმოდგენა. ბაკალავრიატის სპეციალობები შეესაბამება „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ 24.11.2005. 136 მუხ. 1514) დამტკიცებულ სპეციალობათა ჩამონათვალს.
- ე) ერთი კომპიუტერი არა უმეტეს 25 სტუდენტზე;
- ვ) ბიბლიოთეკა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
 - ვ.ა) ბიბლიოთეკა არსებობს დაწესებულების ბალანსზე;
 - ვ.ბ) არსებობს ბიბლიოთეკარის სამტატო ერთეული;
 - ვ.გ) ბიბლიოთეკაში არსებობს სტუდენტთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი;
 - ვ.დ) არსებობს საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული კატალოგი (ქაღალდის ან ელექტრონულ მატარებელზე), ინვენტარის წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, მკითხველთა ბარათები.
 - ვ.ე) დაწესებულია ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი.
- ზ) ვებ-გვერდი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
 - ზ.ა) ვებ-გვერდის ერთ-ერთი ენა აუცილებლად ქართულია.
 - ზ.ბ) არსებობს დაწესებულების მიერ დომეინური სახელის ყიდვის ხელშეკრულება და «ჰოსტინგის» (ვებ სერვისის) ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - ზ.გ) ვებ-გვერდის მისამართს აქვს ".edu" ან ".edu.ge" გაფართოება
 - ზ.დ) ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია.

„ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების არსებობა და შესაბამისი ფართის 24 საათიან რეჟიმში სარგებლობის უფლება დადასტურებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უწყვეტად 6 წლის ვადით გაფორმებული ხელშეკრულებით და ამ ფართზე ხელშეკრულების შესაბამისი მხარის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით, რაც დგინდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ფართით სარგებლობის უფლების დროით შეზღუდვას, არ ჩაითვლება სარგებლობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად.

„გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულება დადასტურებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით/დანიშვნის აქტით. პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი აკრედიტაციის მიზნებისთვის არ შეიძლება მიეკუთვნოს ორზე მეტი დაწესებულების აკადემიურ პერსონალს. დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს თითოეული პროფესორის წერილობითი თანხმობა, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელი ერთი ან ორი დაწესებულების აკადემიურ პერსონალად სურს რომ იყოს მიკუთვნებული.

ინსტიტუციური აკრედიტაციის დამატებითი კრიტერიუმები

ინსტიტუციური აკრედიტაციის დამატებითი კრიტერიუმებია:

- ა) სასწავლო და სამეცნიერო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარი;
- ბ) სრულყოფილი სასწავლო გეგმები. ამ მიზნით, დაწესებულება აკრედიტაციის ჩასატარებლად ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო გეგმები (სასწავლო პროგრამის აღწერა, მოდული, კურიკულუმი სათანადო კრედიტებისა და აკადემიური საათების მითითებით, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა) ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, სადაც სწავლების პირველ საფეხურზე გათვალისწინებული 240 კრედიტი გადანაწილებული იქნება 4 სასწავლო წელზე, თითოეულ წელზე 60 კრედიტი.
- გ) სრულყოფილი ბიბლიოთეკა, რომელიც გარდა ძირითადი კრიტერიუმების აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
 - გ.ა) ბიბლიოთეკას გააჩნია სამკითხველო დარბაზებისგან გამიჯნული წიგნსაცავი;
 - გ.ბ) ბიბლიოთეკას აქვს სასწავლო გეგმებისა და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი წიგნადი - ერთ სტუდენტზე არანაკლებ 10 დასახელების სახელმძღვანელო ერთეული და არაწიგნადი ფონდი ინფორმაციის აუდიო, ვიდეო და ციფრული მატარებლების სახით;
 - გ.გ) ბიბლიოთეკას აქვს სასწავლო გეგმისა და სამეცნიერო პროგრამების შესაბამისი პერიოდიკა და ამ პერიოდიკაზე გაფორმებული მიმდინარე ხელმოწერები;
 - გ.დ) ბიბლიოთეკა მუშაობს არანაკლებ 5 დღისა კვირის განმავლობაში;
- დ) სრულყოფილი ვებ-გვერდი, რომელიც გარდა ძირითადი კრიტერიუმებისა აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
 - დ.ა) ვებ-გვერდიდან უნდა ირკვეოდეს ვებ-გვერდის მესაკუთრე და მასზე განთავსებული უნდა იყოს მესაკუთრის კოორდინატები და მისი შექმნის თარიღი, ვებ-გვერდს უნდა გააჩნდეს სტუმართა მოქმედი სანდო მრიცხველი;
 - დ.ბ) ვებ-გვერდზე გამოყენებული უნდა იყოს ქართული უნიკოდები («სილფანკი» ან სხვა);
 - დ.გ) ვებ გვერდი უნდა ასრულებდეს საკომუნიკაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ფუნქციას, კერძოდ, მასზე უნდა იყოს განთავსებული დაწესებულების სტრუქტურა, წესდება, სასწავლო გეგმები, პროგრამები, მონაცემები სტუდენტთა და პროფესორთა

შესახებ, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის - აგრეთვე დაწესებულების ბიუჯეტი;

დ.დ) მოთავსებული ინფორმაციის რელევანტურობის მიზნით, უნდა ხდებოდეს ვებ გვერდის ხშირი და რეგულარული განახლება.

ე) დაწესებულების საქმიანობის ორგანიზაცია:

ე.ა) დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ნათლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა;

ე.ბ) დაწესებულებას უნდა გააჩნდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული ორგანიზაციული და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი აქტები;

ე.გ) დაწესებულებაში უნდა წარმოებდეს ნებისმიერი სახის შიდა სამართლებრივი აქტების სანდო აღრიცხვიანობა.

**ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის
ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ინსტრუქცია**

6

ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის გადახდის წესი

აკრედიტაციის საფასურს იხდის დაწესებულება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის განაცხადთან დაკავშირებით იღებს შემდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) განაცხადის მიღების შესახებ;

ბ) განაცხადის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

განაცხადის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განმცხადებელს ენიჭება აკრედიტაციის მაძიებლის სტატუსი.

აკრედიტაციის საფასურის გადახდა წარმოებს როგორც განაცხადის შემოტანისას, ასევე აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შემდეგ - აკრედიტაციის პროცედურის დაწყებამდე.

აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შემთხვევაში განმცხადებელს ევალება გადაიხადოს აკრედიტაციის პროცედურის განსახორციელებლად შესაბამისი საფასური, რის შემდეგაც იგი დაექვემდებარება დადგენილი წესით გადამოწმებას.

აკრედიტაციის საფასური განმცხადებელს არ უბრუნდება.

ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ნიხრები

აკრედიტაციის განაცხადის შემოტანის დროს ყველა განმცხადებელი ვალდებულია გადაიხადოს აკრედიტაციის განაცხადის საფასური 250 ლარის ოდენობით.

აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შემთხვევაში დაწესებულება იხდის აკრედიტაციის პროცედურის საფასურის ზღვრულ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შემდეგი სამი პარამეტრით:



- ა) დაწესებულებაში არსებულ სტუდენტთა რაოდენობით;
- ბ) დაწესებულების მიერ დაკავებული საერთო ფართობით;
- გ) სხვადასხვა მისამართზე არსებული ფართებისა და შენობა-ნაგებობების რაოდენობით.

საფასურის საერთო რაოდენობა დგინდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისი ჯამით.

დაწესებულებებში სტუდენტთა არსებული რაოდენობით აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი და ოდენობა

დაწესებულება ვალდებულია გადაიხადოს აკრედიტაციის პროცედურის საფასური შემდეგი ოდენობით:

- ა) 100-მდე სტუდენტის არსებობისას – 500 ლარი;
- ბ) 101-დან 300-მდე სტუდენტის არსებობისას – 1000 ლარი;
- გ) 301-დან 500-მდე სტუდენტის არსებობისას – 1300 ლარი;
- დ) 501-დან 1000-მდე სტუდენტის არსებობისას – 2000 ლარი;
- ე) 1001-დან 5000-მდე სტუდენტის არსებობისას – 3000 ლარი;
- ვ) 5001-დან 10000-მდე სტუდენტის არსებობისას – 5000 ლარი.

დაწესებულება 10000-ზე მეტ ყოველ 1000 სტუდენტზე იხდის აკრედიტაციის პროცედურის საფასურს 500 ლარის დამატებით.

დაწესებულების მიერ საერთო ფართის მიხედვით გადასახდელი აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი და ოდენობა

დაწესებულება ვალდებულია ფართის მიხედვით გადაიხადოს აკრედიტაციის პროცედურის საფასური შემდეგი ოდენობით:

- ა) 1000-დან 3000-კვ.მ-მდე ფართობის დროს – 500 ლარი;
- ბ) 3001-დან 5000-კვ.მ-მდე ფართობის დროს – 1000 ლარი;
- გ) 5001-დან 10000-კვ.მ-მდე ფართობის დროს – 1700 ლარი;
- დ) 10001-დან 20000-კვ.მ-მდე ფართობის დროს – 2300 ლარი;
- ე) 20001-დან 30000-კვ.მ-მდე ფართობის დროს – 2700 ლარი.

დაწესებულება 30000 კვ.მ-ზე მეტ ყოველ 10000კვ.მ-ზე იხდის აკრედიტაციის პროცედურის საფასურს 200 ლარის დამატებით.

დაწესებულების მიერ საერთო ფართის მიხედვით გადასახდელი აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი და ოდენობა

დაწესებულება ვალდებულია ყოველ ერთ მისამართზე არსებული 1 შენობა-ნაგებობისა ან შენობის ნაწილის ფლობის შემთხვევაში გადაიხადოს აკრედიტაციის პროცედურის საფასური 150 ლარის ოდენობით.

დაწესებულების თვითშეფასება და თვითშეფასების კითხვარი

7

დაწესებულების აკრედიტაციის პროცესი იწყება დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარის წარმოდგენით. კითხვარის ფორმას ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის აღწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების კითხვარი შედგება 5 თავისა და 5 ქვეთავისაგან და ითვალისწინებს შემდეგი სახის ინფორმაციის წარდგენას:

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მატერიალური რესურსები: ა) ფართი,
ბ) ბიბლიოთეკა,
გ) კომპიუტერები.
3. პროგრამული პირობები
4. ადამიანური რესურსები: ა) აკადემიური პერსონალი,
ბ) სტუდენტები.
5. დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია
(დამოწმებული ასლები).

ზოგადი ინფორმაცია

თვითშეფასების კითხვარის აღნიშნული თავი მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წესდებითა და სასამართლო რეგისტრაციით დადასტურებული სახელწოდების, იურიდიული და ადმინისტრაციის ფაქტობრივი მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, ვებ-გვერდის, ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის, რეგისტრაციის მოწმობის, (როდის და რომელი ორგანოს მიერ არის რეგისტრირებული), კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მოწმობის სარეგისტრაციო ნომრის, მოქმედი წესდების მიღების თარიღის, ფაკულტეტებისა და ფილიალების ჩამონათვალს მისამართების, შესაბამისად, სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის რაოდენობის მითითებას.

მატერიალური რესურსები

თვითშეფასების კითხვარის აღნიშნული თავი სამი ქვეთავისაგან შედგება:

ფართი

თვითშეფასების კითხვარის ეს ქვეთავი მოიცავს ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დაკავებული შენობებისა და ფართების ჩამონათვალს მისამართებისა და ფლობის ფორმის მითითებით; სალექციო და სასწავლო პროცესისათვის (აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზები, სააქტო, სპორტული დარბაზები, სტადიონი. სცენა, სამედიცინო კაბინეტები, ა.შ.) განკუთვნილი ფართის ჩამონათვალს მისამართების, ფლობის ფორმის და საერთო სააუდიტორიო სალაბორატორიო ფართის ჯამური ოდენობის მითითებით; კონკრეტული შენობა-ნაგებობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტები (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, უზუფრუქტის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულება და ა.შ.)

ბიბლიოთეკა

თვითშეფასების კითხვარის ეს ქვეთავი მოიცავს ინფორმაციას ბიბლიოთეკის ინვენტარის ჩამონათვალს სახეობისა და რაოდენობის მითითებით; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (სასწავლო გეგმის შესაბამისი სახელმძღვანელოების და სამეცნიერო ჟურნალების ერთეულების); ბიბლიოთეკის ციფრული ფონდების (ფირები, კასეტები, კომპაქტ-დისკები) რაოდენობას; შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკის საცავის, სამკითხველო დარბაზის/ოთახების; საბიბლიოთეკო პრინციპებით მოწესრიგებული კატალოგის, საინვენტარო წიგნის, სარეგისტრაციო ჟურნალისა და მკითხველის ბარათების არსებობის; საშტატო განრიგით გათვალისწინებული ბიბლიოთეკარების რაოდენობის და ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგის მითითებას.

კომპიუტერები

თვითშეფასების კითხვარის ეს ქვეთავი მოიცავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა თავისუფალი სარგებლობისათვის განკუთვნილი კომპიუტერების რაოდენობის; ინტერნეტის არსებობისა და სტუდენტთა თავისუფალი სარგებლობისათვის განკუთვნილი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მითითებას.

პროგრამული პირობები

თვითშეფასების კითხვარის აღნიშნული თავი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების; სასწავლო გეგმების (სასწავლო პროგრამის აღწერა, კურიკულუმი, მოდული, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, საგნების ჩამონათვალი კრედიტების და/ან აკადემიური საათების მითითებით) წარმოდგენას.

ადამიანური რესურსები

თვითშეფასების კითხვარის აღნიშნული თავი ორი ქვეთავისაგან შედგება:

აკადემიური პერსონალი

აკრედიტაციის მიზნებისათვის ერთი პროფესორი შეიძლება მიეკუთვნოს არა უმეტეს ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ამიტომ აკრედიტაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილი უნდა იქნას აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის არა მხოლოდ საერთო რიცხვი მათ მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი; ასისტენტ პროფესორი), არამედ მათი სახელობითი სია და თვითშეფასების კითხვარის დანართის შევსებული ფორმა, დადასტურებული პერსონალის ხელმოწერით.

სტუდენტები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სტუდენტთა სახელობითი სია, სპეციალობებისა და სწავლების ფორმის (დასწრებული/დაუსწრებელი) მითითებით და ბრძანების წიგნის შესაბამისი გვერდების ასლები; აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს რექტორის ხელმოწერით და ბეჭდით. ამასთან, ნაჩვენები უნდა იყოს სტუდენტთა საერთო რაოდენობა, მათ შორის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტურანტურის და უცხოელი სტუდენტების, ასევე მიმდინარე სასწავლო წელს ამორიცხულ/გარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ბრძანების ასლები და, აგრეთვე, 2006/2007 სასწავლო წელს დამამთავრებელი კურსების სტუდენტთა რაოდენობა.

დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია

(რექტორის ხელმოწერით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული ასლები)

თვითშეფასების კითხვარის ეს თავი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წესდების ასლის წარმოდგენას (ეს მოთხოვნა არ ვრცელდება სსიპ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე): დაფუძნების აქტის; სალიცენზიო მოწმობის; საჯარო რეესტრიდან ამონაწერის ასლის (საკუთრებაში/მფლობელობაში ნებისმიერი ფორმით არსებულ ქონებაზე); ინვენტარიზაციის აქტის/სააუდიტორო დასკვნის; ფართის ფლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ხელშეკრულებები ფართის ფლობაზე, ქირავნობაზე, იჯარაზე და სხვა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან); კომპიუტერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის; დომეინური სახელისა და "ჰოსტინგის" ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენას. შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაციის; ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების ოდენობის; ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ სტუდენტთა გრანტის ჯამური ოდენობის; ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების ოდენობის; ბოლო ორის წლის განმავლობაში სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებიდან დაფინანსების და სწავლის საფასურის

ოდენობის მითითებას. ამასთანავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, როგორც აკრედიტაციის მაძიებელის მიერ ზღვრული ოდენობის გადახდის ქვითარის ასლი.

თვითშეფასების კითხვარში შესატანი ზემოაღნიშნული ყველა ინფორმაცია არსებითია და მისი რომელიმე ნაწილის გამოტოვების შემთხვევაში იგი არ იქნება განხილული. ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სავალდებულოა კითხვარში მითითებული დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლების წარმოდგენა. კითხვარის თითოეული გვერდი და მისი დანართი დამოწმებული უნდა იყოს რექტორის ხელმოწერით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდით. ინფორმაცია, რომლის შეტანა კითხვარში ვერ ხერხდება ადგილის სიმცირის გამო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით.

სავალდებულოა აგრეთვე შევსებული კითხვარის ელექტრონული ვერსიის წარმოდგენა.

8

საკრედიტაციო ვიზიტი

საკრედიტაციო ვიზიტის ძირითადი მიზანია საშუალება მისცეს ექსპერტებს დაადგინოს დაწესებულების აკრედიტაციის პირობებთან შესაბამისობა და გადაამოწმონ თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილი ინფორმაცია.

საკრედიტაციო ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება დაწესებულების რესურსების მოცულობის შესაბამისად.

აკრედიტაციის მიზნით ექსპერტები ამოწმებენ დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტაციას, ახორციელებენ დაწესებულებაში დასაქმებული პირების, სტუდენტების და სხვა დაინტერესებული პირების ინტერვიუებას და შენობა-ნაგებობის და ინვენტარის ადგილზე დათვალიერებას. დაწესებულების შემოწმების შედეგად ექსპერტთა დასკვნისა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას.

აკრედიტაციის გაუქმების საფუძველია აკრედიტაციის კრიტერიუმებთან დაწესებულების შეუსაბამობის დადგენა, აგრეთვე დაწესებულების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი წესის, აგრეთვე უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის დარღვევა.

შემაჯამებელი დასკვნის ფორმა ჯგუფის ხელმძღვანელისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთა შემაჯამებელი დასკვნის ფორმა მოიცავს ძირითადი და დამატებითი კრიტერიუმების შეფასების თავებს და ეყრდნობა ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ თემატურ დასკვნებს.

შემაჯამებელი დასკვნის თავფურცელი ითვალისწინებს იმ აკრედიტაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის; დაწესებულების მისამართის; რექტორის; აკრედიტაციის

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისა და ექსპერტთა ჯგუფის წევრების საიდენტიფიკაციო მონაცემების (გვარი, სახელი, ტელეფონის ნომერი) და თარიღის მითითებას სადაც ხორციელდება სააკრედიტაციო ვიზიტი.

რაც შეეხება შემაჯამებელი დასკვნის პირველ ნაწილს იგი მოიცავს ძირითადი კრიტერიუმებისა და სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისათვის საჭირო ინფორმაციას. კერძოდ, აკრედიტაციის მადიებელი დაწესებულების ფართს კვ.მ ჩვენებით, იმ შემთხვევაში თუ ერთ მისამართზე არსებული ფართი არ არის 1000კვ.მ ნაკლები; ერთ სტუდენტზე მოსული სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის განკუთვნილი ფართის მოცულობას, არანაკლებ 6 წლის ვადით დადებული ხელშეკრულების და ფართის 24 საათიანი ფლობის რეჟიმის არსებობის მითითებას. აგრეთვე ერთ პროფესორზე (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი), მოსული სტუდენტების რაოდენობას; სტუდენტთა საერთო რაოდენობას, თითოეული სასწავლო წლის მიხედვით ცალ-ცალკე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიანი არანაკლებ 5 წლიანი და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო ორის სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობას; ბაკალავრიატის სპეციალობების ჩამონათვალის შესაბამისობა-შეუსაბამობის მითითებას; ერთ კომპიუტერზე მოსული სტუდენტების რაოდენობას; ბიბლიოთეკის ბალანსზე არსებობას, ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეულის, ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული კატალოგის, ინვენტარის წიგნის, სარეგისტრაციო ჟურნალის, ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგის, ვებ-გვერდის ენის, დომენური სახელის ყიდვის ხელშეკრულებისა და ვებ-სივრცის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის; ვებ-გვერდის „edu“ ან „edu.ge“ გაფართოების და ასევე ვებ-გვერდზე აკრედიტაციის მადიებელი დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის არსებობა-არარსებობას.

შემაჯამებელი დასკვნის მეორე ნაწილი მოიცავს ინფორმაციას, სასწავლო და სამეცნიერო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარის, სრულყოფილი სასწავლო გეგმების, სრულყოფილი ბიბლიოთეკის (სამკითხველო დარბაზისაგან გამიჯნული წიგნსაცავი, ერთ სტუდენტზე მოსული სახელმძღვანელოების რაოდენობა, სასწავლო გეგმების შესაბამისი პერიოდიკა და მასზე გაფორმებული ხელმოწერები, ბიბლიოთეკის სამუშაო დღეები და არაწიგნადი ფონდის ერთეულების რაოდენობა), სრულყოფილი ვებ-გვერდის (ვებ-გვერდზე გამოყენებული უნიკოდი, შექმნის თარიღი, სტუმართა სანდო მრიცხველი; პროგრამების, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის შესახებ მონაცემები, აკრედიტაციის მადიებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ბიუჯეტი); საქმიანობის ორგანიზაციის (ნათლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა; უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული ორგანიზაციული და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი აქტები, და შიდა სამართლებრივი აქტების აღრიცხვიანობა) შესახებ.

შემაჯამებელი დასკვნის ფორმის შევსებას ახორციელებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, თუმცა ჯგუფის წევრები აქტიურად მონაწილეობენ შემაჯამებელი დასკვნის მომზადებაში და ხელმოწერით ადასტურებენ მას. ამასთანავე ისევე როგორც ექსპერტთა თემატური დასკვნების ყველა ფორმას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელ დასკვნას ხელმოწერით და ბეჭდით ადასტურებს აკრედიტაციის მადიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი.

9

გადაწყვეტილება ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

დაწესებულებისთვის ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭება ხდება 5 წლის ვადით, გარდა პირობითი აკრედიტაციის მინიჭებისა.

დაწესებულებას ინსტიტუციური აკრედიტაცია მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს ინსტიტუციური აკრედიტაციის ყველა ძირითად და დამატებით კრიტერიუმს.

ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში აღინიშნება, აგრეთვე, დაწესებულების მიერ მომდევნო კალენდარულ წელს და აკრედიტაციის ვადის განმავლობაში მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა.

გადაწყვეტილება პირობითი ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

დაწესებულებას პირობითი ინსტიტუციური აკრედიტაცია მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს ინსტიტუციური აკრედიტაციის ყველა ძირითად კრიტერიუმს და ვერ აკმაყოფილებს დამატებითი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც.

პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს აკრედიტაციის მინიჭების პირობის შესრულების წესი.

პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში შემდგომი აკრედიტაცია ტარდება არა უგვიანეს 2 წლის ვადაში, რაც განისაზღვრება პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებით.

პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში დაწესებულებას არ აქვს სტუდენტთა მიღების უფლება.

გადაწყვეტილება ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულება ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე უარს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს ინსტიტუციური აკრედიტაციის ძირითადი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც.

მისაღები კონტინგენტის ფორმულა

10

საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები და სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის განსაზღვრის მიზნით „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №144 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები და სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის განსაზღვრის წესი თანდართული ფორმულით.

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები და სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის განსაზღვრის მიზანია უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა აკრედიტაციის კრიტერიუმებთან.

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა მაქსიმალური და მისაღები კონტინგენტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა, ის რაოდენობა, რომელიც დგინდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მინიჭებისას ან ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვის შედეგად, აგრეთვე ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და, რომელიც მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ინსტიტუციონალური აკრედიტაციის ყველა მახასიათებელი აკმაყოფილებს ინსტიტუციონალური აკრედიტაციის დადგენილ შესაბამის ნორმატივებს.

სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი განისაზღვრება ინსტიტუციონალური აკრედიტაციის შესახებ ფაქტობრივი მონაცემების (სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის განკუთვნილი ფართობი; დაწესებულებაში არსებული სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის განკუთვნილი ფართობი; დაწესებულებაში არსებული აკადემიური პერსონალის (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტი-პროფესორი) რაოდენობა; დაწესებულებაში არსებული სტუდენტების რაოდენობა; დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა; დაწესებულებაში არსებული სახელმძღვანელო წიგნადი ერთეულების რაოდენობა) და ინსტიტუციონალური აკრედიტაციის დადგენილი ნორმატივების თანაფარდობის მონაცემებს შორის უმცირესი მონაცემით.

სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე. სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი ტოლია დაწესებულების სტუდენტთა მაქსიმალურ კონტინგენტს გამოკლებული იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც სტუდენტთა კონტინგენტის მიღების ვადამდე დაასრულებენ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და მიმატებული ამ ფორმულით განსაზღვრული კონტინგენტის მიღების ვადამდე დაწესებულების მიერ მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი.

	A	B	C	D	E
1	ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მახასიათებლების ნუსხა	ფაქტობრივი მონაცემები ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მახასიათებლების შესახებ	ინსტიტუციონალური აკრედიტაციისათვის დადგენილი ნორმატივები	ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მახასიათებლების შესახებ ფაქტობრივი მონაცემებისა და ინსტიტუციონალური აკრედიტაციისათვის დადგენილი ნორმატივების თანაფარდობა	სტუდენტთა მისაღები და მაქსიმალური კონტინგენტი
2	სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის განკუთვნილი ფართობი		4	B2:C2	
3	აკადემიური პერსონალი		30	B3xC3	
4	სტუდენტები				
5	კომპიუტერები		25	B5xC5	
6	სახელმძღვანელო წიგნადი ერთეულები		10	B6:C6	
7	სტუდენტები, რომლებიც ამ ფორმულით განსაზღვრული კონტინგენტის მიღების ვადამდე დაასრულებენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, დიპლომიანი სპეციალისტისა და ერთსაფეხურიან სულ ცოტა 5 წლიან საგანმანათლებლო პროგრამებს				
8	ამ ფორმულით განსაზღვრული კონტინგენტის მიღების ვადამდე დაწესებულების მიერ მისაღები კონტინგენტი				D2, D3, D5, D6 გრაფების მონაცემებს შორის უმცირეს მონაცემს გამოკლებული B9
9	სტუდენტთა არსებულ რაოდენობას გამოკლებული ის სტუდენტები, რომლებიც ამ ფორმულით განსაზღვრული კონტინგენტის მიღების ვადამდე დაასრულებენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, დიპლომირებული სპეციალისტისა და ერთსაფეხურიანი სულ ცოტა 5-წლიან საგანმანათლებლო პროგრამებს, მიმატებული ამ ფორმულით განსაზღვრული კონტინგენტის მიღების ვადამდე დაწესებულების მიერ მისაღები კონტინგენტი	B4-B7+B8			D2,D3,D5,D6 გრაფების მონაცემებს შორის უმცირეს მონაცემი

გადაწყვეტილების გამოცემის მიზნით განხორციელებული სამართლებრივი პროცედურები

11

ცენტრის მიერ განხორციელებული სამართლებრივი პროცედურები მიზნად ისახავდა აკრედიტაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების კითხვარების და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნების დამუშავებას, მათ საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმების მომზადებას. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმების შესაბამისად მომზადდა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების პროექტები. განხორციელდა ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კონტინგენტის განსაზღვრის პროცედურა, შემუშავდა აკრედიტაციის საბჭოს ოქმების პროექტები და ცენტრის ბრძანებები აკრედიტაციის მაძიებელ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებით.

ცენტრის მიერ დამუშავდა აკრედიტაციის მაძიებელი 55 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების კითხვარი და აკრედიტაციის ექსპერტთა თემატური და შემაჯამებელი ოქმები, რის საფუძველზეც შემუშავდა აკრედიტაციის საბჭოს 21 სხდომის ოქმის პროექტი. აკრედიტაციის საბჭოს მიერ ხელმოწერილი ოქმების საფუძველზე, გამოიცა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის 85 ბრძანება, მათ შორის 32 - ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე, 4 - ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობით მინიჭებაზე, 19 - ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, 34 - ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე (მათ შორის 2 ახლადდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მისაღები და სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ.

ამასთან, ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გამოცემის პროცედურის დაგეგმვით, სამართლებრივად განხორციელდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ნორმების სრული დაცვა. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა უნდა განხორციელდეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისად. აღნიშნული წარმოება, სხვა მოთხოვნებთან ერთად უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს დაინტერესებული მხარის ჩართვას ადმინისტრაციულ წარმოებაში. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს ოქმების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობით, მათგან მოსაზრებების მიღებისა და განხილვის შედეგად, ფაქტობრივად და სამართლებრივად სრულყოფილად განხორციელდა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების გამოცემის პროცედურა, შესწავლილ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ამასთან, აღნიშნული პროცედურის განხორციელებამ უზრუნველყო 2006 წლის ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესის გამჭვირვალობა, დაინტერესებული პირების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც მეტად მნიშვნელოვანია

საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებისა და აკრედიტაციის, როგორც ხარისხის ამაღლების სისტემისადმი სანდოობის დამკვიდრებისათვის. გადაწყვეტილების მიღების პროცესში აკრედიტაციის მაძიებლების მონაწილეობამ მინიმუმამდე დაიყვანა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების გასაჩივრების ალბათობა.

12

საზოგადოებასთან ურთიერთობა - ინფორმაციის გამჭვირვალობა

ცენტრის მიერ სააკრედიტაციო პროცესის ეფექტურად და გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით მოეწყო საორიენტაციო და საკონსულტაციო გაერთიანებული შეხვედრები აკრედიტაციის მაძიებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და მასმედიის წარმომადგენლებთან.

2006 წლის 1 მაისიდან 1 დეკემბრამდე ცენტრში შემოვიდა 817 კორესპონდენცია. აქედან ორგანიზაციებიდან შემოსულია - 575, ხოლო მოქალაქეებიდან 242 წერილი. ამავე პერიოდში ცენტრმა გასცა 795 წერილი.

სამსახური ყოველდღიურად ეწევა მოქალაქეთა მიღებას და სატელეფონო კონსულტაციებს, როგორც აკრედიტაციის, ასევე სტუდენტთა ჩარიცხვებთან და მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სამსახურმა წინასააკრედიტაციო პერიოდში ჩაატარა გასვლითი რეგიონალური შეხვედრები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თელავში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში. შეხვედრები მიზნად ისახავდა ახლადინტეგრირებული დაწესებულებებისათვის თვითშეფასების ანგარიშების მომზადებისა და აკრედიტაციის დროს მათი უფლება-მოვალეობების შესახებ კონსულტაციებს.

აკრედიტაციის შედეგები ფართოდ გაშუქდა საქართველოს თითქმის ყველა ცენტრალური და რეგიონული ტელეკომპანიის მიერ.



ბრიფინგი აკრედიტაციის შედეგების შესახებ (2006 წლის ოქტომბერი)

ცენტრის დირექტორისა და აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მონაწილეობით მოეწყო ორი პირდაპირი რადიო გადაცემა აკრედიტაციის შედეგებზე.

საქართველოში ჩატარებული პირველი აკრედიტაციის შედეგებისა და მიმდინარე აკრედიტაციის პროცესის შესახებ ცენტრის დირექტორმა გააკეთა მოხსენება ორ საერთაშორისო კონფერენციაზე სოფიასა (ბულგარეთი) და ბარსელონაში (ესპანეთი), ასევე სამ ეროვნულ კონფერენციაზე თბილისში.

დროულად იქნა შექმნილი ცენტრის ვებ-გვერდი www.nea.ge სადაც განთავსებულია დეტალური ინფორმაცია 2006 წლის აკრედიტაციის შედეგებზე და ცენტრის შესახებ.



საერთაშორისო კონფერენცია ბარსელონაში (ესპანეთი) (2006 წლის ნოემბერი)



საერთაშორისო კონფერენცია ბარსელონაში (ესპანეთი) (2006 წლის ნოემბერი)


13

2006 წლის აკრედიტაციის შედეგების სტატისტიკური ანალიზი

2006 წელს ჩატარებული აკრედიტაციის პროცესის შედეგი


აკრედიტაციაზე განაცხადი შემოიტანა 65 უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, აქედან მამიებლად იქნა ცნობილი და აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა 55 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

აღნიშნული 55 უსდ-დან:




სახელმწიფო უსდ – 17 (30,9%)
კერძო უსდ – 38 (69,1%)

აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნების, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციითა და აკრედიტაციის ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით გადამოწმებული 55 უსდ-დან:



აკრედიტაცია მიენიჭა – 36 (65,5%) უსდ-ს (მათგან 4 პირობითი აკრედიტაცია),
აკრედიტაციაზე უარი ეთქვა – 19 (34,5%) უსდ-ს.


აკრედიტებული 36 უსდ-დან :



სახელმწიფო უსდ – 15 (41,7%)

კერძო უსდ – 21 (58,3%) (მათგან 4 პირობითად აკრედიტებული)

19 არაკრედიტებული უსდ-დან:



სახელმწიფო უსდ – 2 (10,5%)


კერძო უსდ – 17 (89,5%)

7 ახლადლიცენზირებული უსდ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ავტომატურად უთანაბრდება აკრედიტებულ უსდ-ებს 5 წლის ვადით.

2006 წელს ჩატარებული აკრედიტაციის პროცესის შედეგად განისაზღვრა 2007-2008 სასწავლო წლისათვის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი, რომელმაც შეადგინა 18969. მათგან:


სახელმწიფო უსდ-ში – **15002** სტუდენტი,

კერძო უსდ-ში – **3967** სტუდენტი.



აღნიშნული რაოდენობიდან, ერთიანი ეროვნული შეფასებისა და გამოცდების ცენტრში უსდ-ების მიერ დარეგისტრირებული იქნა **14366** ვაკანსია. მათგან:

11163 ადგილი დარეგისტრირებული იქნა სახელმწიფო უსდ-ის მიერ,
3203 ადგილი დარეგისტრირებული იქნა კერძო უსდ-ის მიერ.



განსაზღვრულ სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობასა და გამოცხადებულ ვაკანსიებს შორის სხვაობა 2007-2008 სასწავლო წლისთვის შეადგენს **4603** ადგილს, რომელიც გამოყენებული იქნება ერთი სასწავლო წლის მონაკვეთში სტუდენტთა მობილობის, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამების განსახორციელებლად.

2008-2009 სასწავლო წლის მობილობა ხელახლა განისაზღვრება 2007 სასწავლო წელს.

2007 წლამდე აკრედიტებული რეჟიმის მქონე 119 უსდ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლით ჩარიცხულია **35986** სტუდენტი, მათგან:

2005 წელს – **16507** სტუდენტი,
 2006 წელს – **19479** სტუდენტი.

აღნიშნული 119 სასწავლებლიდან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც 2007-2008 სასწავლო წლისთვის ვერ/არ გაიარეს აკრედიტაცია, სწავლობს 2005/2006 წწ. ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული **10173** სტუდენტი. მათგან:


2005 წელს ჩარიცხული – **4661** სტუდენტი;
 2006 წელს ჩარიცხული – **5512** სტუდენტი.

2007-2008 სასწავლო წლისათვის სულ ქვეყნის მასშტაბით აკრედიტებულია **43** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მათგან **7** ახლადლიცენზირებული -

აკრედიტებულთან გათანაბრებული, 4 კი პირობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, ხოლო 32 განესაზღვრა 5 წლიანი აკრედიტაცია.

ზემოაღნიშნული 43 აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან:

სახელმწიფო უსდ - 15,
კერძო უსდ - 28.



აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები რეგიონების მიხედვით ასე გადანაწილდა:



სამეგრელო-ზემო სვანეთი 4

გურია 1

რაჭა-ლეჩხუმი 1

იმერეთი 2

შიდა ქართლი 2


სამცხე-ჯავახეთი 2

თბილისი 1


ქვემო ქართლი 2

კახეთი 1

სახელმწიფო სასწავლებლებში - 54865
კერძო სასწავლებლებში - 8424,



აღნიშნული სტუდენტები რეგიონების მიხედვით ასე გადანაწილდებიან:




მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ფართი

სასარგებლო ფართი 1 სტუდენტზე: 5,1 კვ. მ.

აკრედიტებულ უსდ-ების სასარგებლო ფართი: 322105. აქედან:




სახელმწიფო უსდ-ში: 265178 (82,3%);
კერძო უსდ-ში: 56927 (17,7%).

სასარგებლო ფართი 1 სტუდენტზე სახელმწიფო უსდ-ში: $265178 : 54865 = 4.8$

სასარგებლო ფართი 1 სტუდენტზე კერძო უსდ-ში: $56927 : 8424 = 6.8$

სახელმძღვანელოები

სახელმძღვანელოების რაოდენობა 1 სტუდენტზე: 35.5
სულ სახელმძღვანელოები: 2245134




აქედან საჯაროში: 2077996 (92,5%),
კერძოში: 167138 (7,5%).

სახელმძღვანელოების რაოდენობა 1 სტუდენტზე სახელმწიფო უსდ-ში:
 $2077996 : 54865 = 37.8$

სახელმძღვანელოების რაოდენობა 1 სტუდენტზე კერძო უსდ-ში: $167138 : 8424 = 19.8$

კომპიუტერები

სტუდენტების რაოდენობა ერთ კომპიუტერზე: $63289 : 4187 = 15$
სულ კომპიუტერები: 4187, აქედან:




საჯაროში: 3108 (74,2%),
კერძოში: 1079 (25,8%).

სტუდენტების რაოდენობა ერთ კომპიუტერზე სახელმწიფო უსდ-ში: $54865 : 3108 = 17.7$

სტუდენტების რაოდენობა ერთ კომპიუტერზე კერძო უსდ-ში: $8424 : 1079 = 7.8$

სტუდენტთა რაოდენობა 1 პროფესორზე: $63289 : 4688 = 13.5$
 სულ პროფესორი: 4688, აქედან:



სტუდენტთა რაოდენობა 1 პროფესორზე სახელმწიფო უსდ-ში: $54865 : 3351 = 16.4$
 სტუდენტთა რაოდენობა 1 პროფესორზე კერძო უსდ-ში: $8424 : 1334 = 6.3$

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგულირებადი პროფესიების მიმართულებით (სამედიცინო, იურიდიული, პედაგოგიკა) სწავლებას ახორციელებს:


სამედიცინო _ 21 უსდ (მათ შორის 1 ფილიალია 2 კი პირობით აკრედიტებული);
 იურიდიული _ 27 უსდ (მათ შორის 9 ფილიალია, 2 კი პირობით აკრედიტებული);
 პედაგოგიური _ 15 უსდ (მათ შორის 4 ფილიალია, 1 კი პირობით აკრედიტებული).

ერთი მიმართულების მქონე აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა:

ბიზნესი - 1
 სამედიცინო - 6
 სახელოვნებო - 2
 სპეციალური - 1


2005 წლის ეროვნული გამოცდების გავლის შემდეგ რეგულირებად პროფესიებზე ჩაირიცხა 4152 აბიტურიენტი, მათ შორის:

სამედიცინო - 1672 აბიტურიენტი
იურიდიული - 1934 აბიტურიენტი
პედაგოგიკა - 546 აბიტურიენტი



2006 წლის ეროვნული გამოცდების გავლის შემდეგ რეგულირებად პროფესიებზე ჩაირიცხა 4857 აბიტურიენტი, მათ შორის:

სამედიცინო - 1861 აბიტურიენტი
იურიდიული - 1634 აბიტურიენტი
პედაგოგიკა - 1362 აბიტურიენტი



ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით

14

სასწავლო-სამეცნიერო ფართი

ინსტიტუციური აკრედიტაციის მამიებელ სასწავლო დაწესებულებებში ვიზიტისას, ვარკვევდით ინსტიტუტების მიერ ფართის ფლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. შემოწმებისას ჯგუფი სახავდა სამუშაო გეგმას. ხდებოდა ფართის ფლობასთან დაკავშირებული იურიდიული და ტექნიკური სახის დოკუმენტაციის მოპოვება – დამუშავება: ფართის ფლობის ფორმის, აგრეთვე დაწესებულების მიერ დაკავებული მიწის ფართისა და შენობა-ნაგებობების საერთო ფართის დადგენა, სასარგებლო და არასასარგებლო ფართების ცალ-ცალკე დაჯამება. ტექნიკური გეგმების გამოყენებით და ვიზუალური დათვალიერებისას ხდებოდა სტუდენტთა განთავსებისათვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო და კვლევითი მიზნებისათვის გამოყენებული ფართის დადგენა, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მიერ დაკავებული ფართის დადგენა.

არაკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობის პროცესში აღინიშნა რიგი პრობლემები: აკრედიტაციის მამიებელი დაწესებულების მიერ დაკავებული ფართის ფლობა არ დასტურდებოდა 24-საათიან რეჟიმში, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა არ იყო 6 წელი, აგრეთვე ხელშეკრულებები დადებული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ და არ დგინდებოდა მესაკუთრის ვინაობა, შენობების უზუფრუქტის წესით გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი. ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულებები, რომლებიც იყო ნოტარიულად დამოწმებული, არ იყო გატარებული საჯარო რეესტრში. ხოლო რიგ შემთხვევებში არ იყო წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ტექნიკური პასპორტები და ტექნიკური გეგმები სართულების მიხედვით.

ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სასწავლო ფართის არამიზნობრივად გამოყენებას. მაგალითად, შენობის გარკვეული ფართით სარგებლობდნენ ლტოლვილები. დაწესებულების აუდიტორია-ლაბორატორიები საჭიროებდნენ კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს, არ იყო გათბობა, სასწავლო ინვენტარი საჭიროებდა შეცვლას. ხდებოდა სასწავლო ფართით სარგებლობის პარალელური გამოყენება სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების მიერ, რთული გასამიჯნი იყო, სად იწყებოდა ერთი სასწავლო დაწესებულების სასწავლო ცხრილი და სად მთავრდებოდა მეორე დაწესებულების სასწავლო პროცესი. ზოგიერთ შემთხვევებში არ იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური, ხანძარსაწინააღმდეგო და ადამიანის უსაფრთხოების ნორმები.

აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩამოთვლილი დარღვევები არ აღინიშნებოდა, უმეტეს შემთხვევებში სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ხდებოდა ექსპერტთა ჯგუფისათვის მყუდრო სამუშაო გარემოს შექმნა.

მატერიალური და ადამიანური რესურსები (აკადემიური პერსონალი და სტუდენტები)

საკრედიტაციო პირობების გადამოწმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო იყო ადამიანური რესურსები, რომელშიც დეტალურად აისახება აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა კონტინგენტი.

ვიზიტის პროცესში დავადგინეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა, მათ შორის, დაწესებულების რექტორის ბრძანების საფუძველზე მომუშავე აკადემიური პერსონალი შესაბამისი ხარისხის მიხედვით და, აგრეთვე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე აკადემიური პერსონალი.

ვიზიტის პროცესში აგრეთვე დავადგინეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა სწავლების საფეხურების მიხედვით, ცალ-ცალკე გამოვყავით სტუდენტთა რაოდენობები კურსებისა და სასწავლო წლების მიხედვით.

თემატურ დასკვნაში სტუდენტთა საერთო რაოდენობაში ცალკე დავავიქსირეთ სტუდენტთა მოძრაობები (გარიცხვა, ამორიცხვა, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოყვანა და გადაყვანა).

გადამოწმების პროცესში სხვადასხვა დაწესებულების ადმინისტრაცია კეთილგანწყობით თანამშრომლობდა ჩვენთან. ჯგუფების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა დროულად, ოპერატიულად. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ერთ-ერთ უნივერსიტეტში ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი მოგვაწოდეს სააკრედიტაციო ვიზიტის დასრულებისას, სამუშაო დღის ბოლოს, ექსპერტთა მიერ ადმინისტრაციისათვის შესაბამისი აქტების გაცნობის შემდგომ. ჩვენს მიერ შემოწმებულ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი იქნა რიგი უზუსტობებისა. სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოგვეწოდებოდა აგრეთვე ელექტრონული ვერსიით და დოკუმენტური სახით, სადაც რიგ შემთხვევებში აღინიშნებოდა რაოდენობრივი სხვაობა. გადამოწმების პერიოდში სტუდენტების რაოდენობა იცვლებოდა სისტემატიურად ადმინისტრაციის მიერ. აქედან ვასკვნიდით, რომ უნივერსიტეტების ადმინისტრაციამ ხშირად არ იცოდა, რამდენი სტუდენტი ჰყავდა რეალურად სასწავლებელში. რიგ შემთხვევებში არ იყო მოწესრიგებული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, დანიშნის, გადაყვანის ან არჩევის ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებები.

კომპიუტერები და ვებ-გვერდი

ინსტიტუციური აკრედიტაციის მადიებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტისას დავადგინეთ თვითმფასების კითხვარში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისობა სააკრედიტაციო კრიტერიუმებთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს ის კეთილგანწყობა და კოლეგიალური დამოკიდებულება, რასაც იჩენდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების უმრავლესობა ექსპერტების მიმართ (იშვიათი გამონაკლისების გარდა). კოლეგიალობაში ვგულისხმობთ ექსპერტთათვის სამუშაო პირობების უზრუნველყოფას: იზოლირებულ სამუშაო ოთახს, კომპიუტერებს, საჭირო დოკუმენტაციის დროულად წარმოდგენას და ა.შ. ჩვენ მუშაობის პროცესში ძირითადად ვთანამშრომლობდით დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

საკრედიტაციო ვიზიტის დროს ჩვენს კომპეტენციაში შედიოდა კომპიუტერებისა და ვებ-გვერდის შემოწმება. პირველ რიგში მოვახდინეთ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების ვიზუალური დათვალიერება, დავადგინეთ მათი ტექნიკური მონაცემები (სიხშირე, მოდელი და სხვ.) და მათი დაწესებულების ბალანსზე არსებობა (ბუღალტრული დოკუმენტაციის სრულყოფილი შემოწმებით). ასევე შევამოწმეთ შიდა ქსელის არსებობა და დავადგინეთ ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერების რაოდენობა. გავარკვეით, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო კომპიუტერული ტექნიკა სტუდენტებისათვის. მოვახდინეთ ვებ-გვერდის სრულყოფილი შემოწმება, რაშიც იგულისხმება ყველა იმ მონაცემის დაფიქსირება, რა ინფორმაციაც განთავსებული იყო ვებ-გვერდზე.

ჩვენი მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმრავლესობას არ ჰქონდა სრულყოფილი კომპიუტერული ტექნიკა და ვებ-გვერდი, ზოგ უნივერსიტეტში დაგვხვდა მოძველებული, IBM სისტემის ტექნიკა; ზოგან განაცხადეს, რომ ყველა კომპიუტერი ერთბაშად გადაიწვა მაღალი ძაბვის გამო და სხვ. თუმცა რიგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იყო საკმაოდ მაღალი დონის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები.

საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობას, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნდათ საკმაოდ მაღალი ხარისხის კომპიუტერული ტექნიკა, არ ჰქონდა სრულყოფილი ვებ-გვერდი – არ იყო ინფორმაცია სტუდენტთა კონტინენტის, აკადემიური პერსონალის, სასწავლო პროგრამების და გეგმების შესახებ.

აკადემიური პროგრამები

აკადემიური პროგრამების შემოწმების წესი

აკრედიტაციის ექსპერტები, რომელიც ვამოწმებდით პროგრამულ ნაწილს, პირველ რიგში ვახორციელებდით იმ აუცილებელი დოკუმენტების მოძიებას, რომელიც სავალდებულო წესით (საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ბრძანებების ან რაიმე ნორმატიული დოკუმენტების კრებული) სრულყოფილად უნდა არსებობდეს უმაღლეს სასწავლებელში.

სრულყოფილი სასწავლო გეგმა ნიშნავს პროგრამის ლეგიტიმურად (ბრძანებით დამტკიცებული) არსებობას მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით.

სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დებულების მიხედვით საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელს დაეგზავნა 2006 წლის ინსტიტუციური აკრედიტაციის პროგრამული პირობები და კრიტერიუმები.

პროგრამული ნაწილის გადამოწმებისას ვახორციელებდით შემდეგ პროცედურებს:

პირველი, ვითხოვდით საუნივერსიტეტო ბრძანებას სწავლებისა და შეფასების საკრედიტო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით 2005-2006 სასწავლო წლიდან. შესავსებ ფორმაში ვუთითებდით ამ ბრძანების მიღების თარიღს. ასევე ვამოწმებდით აღნიშნული ბრძანების ბრძანებათა რეგისტრაციის წიგნში არსებობას. იმ შემთხვევაში, თუ არ იყო შესაბამისი დოკუმენტი, წერილობით ვაფიქსირებდით კომენტარის გრაფაში.

მეორე, მოვიძიებდით დეკანის/მიმართულების ხელმძღვანელის მიერ პროგრამის წარდგინებას რექტორის ან ხარისხის მართვის სამსახურის უფროსისადმი. წარდგენილ პროგრამას უნდა ჰქონოდა შიდაწარმოადგილელი დოკუმენტის ფორმა. პროგრამა დამტკიცებული უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის ბეჭდით და ხელმოწერით. დამტკიცებული პროგრამა უნდა ინახებოდეს ფაკულტეტზე და ხარისხის მართვის სამსახურში.

მესამე, ვადგენდით 2005-2006 და/ან 2007-2008 წლისათვის წარმოდგენილი პროგრამების შესაბამისობას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 18.11.05 №633 ბრძანებით გათვალისწინებული ბაკალავრიატის სპეციალობათა კლასიფიკატორთან შესაბამისი კვალიფიკაციისა და კოდების გათვალისწინებით.

მეოთხე, მოვიძიებდით სტუდენტთა შეფასების საკრედიტო სისტემაზე გადასვლის ბრძანებას, ვაფიქსირებდით ნომერს და ასევე ვამოწმებდით ბრძანებათა რეგისტრაციის წიგნში.

მეხუთე, ვახდენდით კრედიტების დათვლას და პროგრამასთან შესაბამისობის მონიტორინგს ზოგადი სქემის მიხედვით (გარდა სამედიცინო სასწავლებლებისა): წლიწადში არანაკლებ 60 კრედიტისა, საგანთა რაოდენობა წელიწადში 6-8, 4 წლის განმავლობაში 240 კრედიტი და სამაგისტრო პროგრამებზე 120 კრედიტი 2 წლის განმავლობაში.

მეექვსე, სამედიცინო პროფილის დაწესებულებებისთვის ვამოწმებდით სასწავლო გეგმის საკრედიტო სისტემაზე გადაყვანის საკითხს. სამედიცინო პროფილის პროგრამები უნდა მოიცავდნენ 300 და 360 კრედიტს პროფილის მიხედვით. სტომატოლოგია და ფარმაცია - 300კრედიტს, ხოლო სამკურნალო საქმე - 360 კრედიტს.

მეშვიდე, ვამოწმებდით სილაბუსის არსებობას თითოეული სასწავლო დისციპლინის მიხედვით პროგრამის შესაბამისად. ვაფიქსირებდით პროგრამაში გათვალისწინებული კურსების სილაბუსებთან შესაბამისობას. შეუსაბამობის შემთხვევაში ვაკეთებდით ჩანიშვნას.

მერვე, ვამოწმებდით პროგრამების არსებობას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მეცხრე, პარალელურ რეჟიმში აკრედიტაციის სხვა ექსპერტები (ფინანსური, ვებ-გვერდის და დოკუმენტაციის გადამმოწმებელი) გვაწვდიდნენ დასკვნას აკადემიური პერსონალის არჩევის, დანიშვნის ან გადაყვანის ბრძანებების, მათი პირადი საქმის შესახებ. ვაკეთებდით ჩანიშვნებს აკადემიური პერსონალის შესაბამისობაზე.

მეათე, ვავსებდით ცენტრის მიერ პროგრამული ნაწილის შეფასების ფორმას და ვაწვდიდით ჯგუფის ხელმძღვანელს. ასევე სიტყვიერად ვაწვდიდით მას ინფორმაციას გადამოწმების მიმდინარე პროცესის შესახებ.

პროგრამული პირობების გადამოწმების მოთხოვნა უნივერსიტეტებში იყო სწავლების სამსაფეხურიან სისტემასა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ერთიან სისტემაზე გადასვლა, შეფასების 100 ქულიანი სისტემის დანერგვა. გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამები იყო დამუშავების პროცესში. მათ წარმოდგენილი ჰქონდათ ბაკალავრიატის მხოლოდ ორი წლის სასწავლო პროგრამა და შეფასება 100 ქულიანი სისტემით, დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილი იყო ძველი ფორმატითა და სტუდენტთა შეფასების 5 ქულიანი სისტემით.

აღინიშნა შემთხვევა, როდესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის რეორგანიზაციაზე არსებობდა რექტორის ბრძანება, მაგრამ ეს უკანასკნელი არ იყო რეგისტრირებული ბრძანებების წიგნში.

რიგ უნივერსიტეტებს წარმოდგენილი ჰქონდათ სილაბუსები, კურიკულუმები და სასწავლო გეგმები ბაკალავრიატის სრული მოცულობით, ე. ი. ოთხწლიანი სასწავლო გეგმა, 240 კრედიტით (ყოველ სასწავლო წელზე 60 კრედიტის ოდენობით). ზოგიერთ უნივერსიტეტებში სპეციალობათა ჩამონათვალი არ ემთხვეოდა ბაკალავრიატის სპეციალობათა კლასიფიკატორს.

აღინიშნა შემთხვევები, როცა უნივერსიტეტში არ იყო დაწყებული სწავლების საკრედიტო სისტემაზე გადაყვანის პროცესი.

მთლიანობაში გამოიკვეთა სურათი, რომლის მიხედვითაც შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება:

1. აკრედიტაციის მაძიებელი უნივერსიტეტების დიდი ნაწილი იცნობს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პარამეტრებს და მათ შესაბამისად ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების სამსაფეხურიან (ბაკალავრიატი – მაგისტრატურა – დოქტორანტურა) სისტემაზე გადასვლას.
2. აკრედიტაციის მაძიებელი უნივერსიტეტების გარკვეული ნაწილი გადასულია შეფასების მრავალკომპონენტური სისტემაზე.
3. აკრედიტაციის მაძიებელი უნივერსიტეტების გარკვეულ ნაწილს შემუშავებული აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ECTS სისტემის მიხედვით და გადასულია სწავლების საკრედიტო სისტემაზე.
4. აკრედიტაციის მაძიებელი უნივერსიტეტების საკმაო ნაწილს მისანიჭებელი აკადემიური ხარისხები შესაბამისობაში აქვთ მოყვანილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (№633 18.11.2005) დადგენილი ბაკალავრიატის სპეციალობების კლასიფიკატორთან.
5. სამედიცინო მიმართულების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღინიშნება ერთგვარი შეუსაბამოები სასწავლო პროგრამებსა და საკრედიტო სისტემის ძირითად კრიტერიუმებს შორის. თუ ყველა სხვა პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში რამდენადმე მაინც არსებობს ერთიანი ფორმატი სასწავლო პროგრამების, კურიკულუმებისა და შეფასების საკრედიტო სისტემისა, - სამედიცინო პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბით არ არის მიღწეული საყოველთაო სასწავლო სტანდარტი.

ჩვენი, როგორც აკრედიტაციის პროგრამული ნაწილის ექსპერტთა რეკომენდაციით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს განესაზღვროთ მკაცრი კრიტერიუმები თავიანთი ძირითადი მიზნებისა და მისიის განსაზღვრის თვალსაზრისით. ამ კრიტერიუმთა ძირითად ასპექტს უნდა წარმოადგენდეს სწორედ უნივერსიტეტების ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამული შემოთავაზება, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის უმთავრესი მახასიათებლისა.

ბიბლიოთეკა

საკრედიტაციო ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის გადამოწმებისას, პირველ რიგში, ვეცნობოდით ბიბლიოთეკის მისამართს. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მითითებული იყო იმ ბიბლიოთეკათა მისამართები, რომლებთანაც ამა თუ იმ უნივერსიტეტს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება და, შესაბამისად, არ იყო მის ბალანსზე. ხელშეკრულება, როგორც წესი, მოიაზრებდა სტუდენტების შეუფერხებელ უზრუნველყოფას წიგნებით, რაც იწვევდა ერთგვარ გაურკვევლობას, რამდენადაც, ნებისმიერი სტუდენტისთვის ბიბლიოთეკით სარგებლობისას შეუზღუდავი მომსახურება ხელშეკრულების გარეშე გარანტირებული უნდა ყოფილიყო. ამ გარემოების გამო ბიბლიოთეკის ფართობი და წიგნადი ფონდი არ ეთვლებოდა უნივერსიტეტს.

უმეტეს უნივერსიტეტებში ბიბლიოთეკა აყვანილი იყო ბალანსზე, სადაც ფიქსირდებოდა წიგნადი ფონდის საფასური. ამის შესაბამისობა კი დგინდებოდა ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით, სადაც გაწერილი და დაჯამებულია ფონდში არსებული წიგნების საფასური.

რიგ უნივერსიტეტებში არ იყო მოწესრიგებული ნაჩუქარი თუ შემოწირული წიგნების და არაწიგნადი ფონდის ბალანსზე აყვანა და ფაქტობრივი მდგომარეობა არც ბოლო აუდიტის დასკვნაშია აღნიშნული.

გადამოწმებული უნივერსიტეტების ნაწილში წიგნსაცავი გამიჯნული იყო სამკითხველო დარბაზისგან. აგრეთვე რიგი უნივერსიტეტების სამკითხველო დარბაზი აღჭურვილი იყო ბიბლიოთეკისათვის საჭირო ინვენტარით (მაგიდა, სკამები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, ქსეროქსის აპარატით და პრინტერით), ნაწილი კი არა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ უნივერსიტეტში ე.წ. “სამკითხველო დარბაზი” წიგნთსაცავისგან გამოყოფილი იყო ფარდით, დარბაზში იდგა საზაფხულო კაფეს შესაბამისი ინვენტარი: პლასტმასის მაგიდები თავისი სკამებით. ჩვენდა გასაოცრად, ეს “დარბაზი”, რომელიც სასადილოს შთაბეჭდილებას, ბიბლიოთეკა აღმოჩნდა. კატალოგში არსებული ბარათების რაოდენობა ნაკლებია საერთო წიგნების რაოდენობაზე, რის გამოც, თუ ბიბლიოთეკას არ აქვს წიგნადი ფონდის კომპიუტერული ვერსია, გართულებულია მისი მოძიება.

უნივერსიტეტების ნაწილს აქვს გაფორმებული ხელმოწერები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდიკაზე.

ძირითადად მკითხველთა სარეგისტრაციო ჟურნალი მოწესრიგებული იყო, წესრიგში იყო აგრეთვე სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური ბარათები.

რაც შეეხება ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეულს, უნივერსიტეტების ნაწილს არ ჰქონდა ბრძანება მათი დანიშვნისა და სამუშაო განრიგის შესახებ.

სილაბუსებსა და სასწავლო გეგმებში მითითებული სახელმძღვანელოები რიგ უნივერსიტეტთა ბიბლიოთეკებში ნაწილობრივ არსებობდა, ნაწილს კი სრულად ჰქონდა.

აკრედიტაციის ცენტრის 2006 წლის ფინანსური ანგარიში

15

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმდა და დამტკიცდა სსიპ – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ 2006 წელს ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 184 187 ლარი.

მათ შორის:

1.	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	86 798 ლარი.
2.	დამქირავებლიდან ანარიცხები	17 359 ლარი.
3.	მივლინებები	3010 ლარი.
4.	სხვა საქონელი და მომსახურება	28 670 ლარი.
5.	კაპიტალური ხარჯები	48 350 ლარი.

ცენტრის არასაბიუჯეტო შემოსავლებს წარმოადგენს აკრედიტაციის მამიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გადახდილი აკრედიტაციის განაცხადისა და აკრედიტაციის საფასური.

სულ საანგარიშო პერიოდში 2006 წლის ინსტიტუციურ აკრედიტაციაზე 65 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის განაცხადისა და აკრედიტაციის საფასურის სახით გადახდილმა თანხამ შეადგინა **253 800** ლარი. მათ შორის:

აკრედიტაციის ექსპერტებზე შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია **85 045** ლარი,

სამივლინებო თანხების სახით - **39 553** ლარი,

სოციალური გადასახადის სახით - **17 400** ლარი. (იხილეთ დანართი-ბჟ).

მოწვეული სპეციალისტებისა და აკრედიტაციის ექსპერტების შრომის ანაზღაურებაზე, მათ მივლინებებსა და სხვა ხარჯებზე გაცემულმა თანხამ შეადგინა **163591** ლარი. მათ შორის:

1.	მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	85 045 ლარი.
2.	დამქირავებლიდან ანარიცხები	17 400 ლარი.
3.	მივლინებები	39 553 ლარი.
4.	სხვა საქონელი და მომსახურება	8 336 ლარი.
5.	კაპიტალური ხარჯები	13 257 ლარი.

2006 წლის 2-3 ნოემბერს ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ტასისის (TACIS SCM 2005 Structural Measures) ეგიდით მიმდინარე პროექტში „საკრედიტაციო სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში“. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული სააკრედიტაციო სტრატეგიისა და ამ სფეროში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად სააკრედიტაციო სექტორის განვითარების ხელშეწყობას საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტებში). პირველი კონფერენცია გაიმართა ქ. თბილისში, სასტუმრო „სიმპათია“-ში. პროგრამით გათვალისწინებული კონფერენციის საკონფერენციო დარბაზით, მონაწილეთა საკანცელარიო ნივთებითა და ვიზუალური მასალებით უზრუნველსაყოფად, ცენტრის მიერ დამტკიცდა „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტაციის სისტემის განვითარების პროგრამა“ და ბიუჯეტი **1124** ლარის ოდენობით.

2006 წლის აკრედიტაციაზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გადახდილი თანხები და ხარჯები (ლარებში)

№	უსდ დასახელება	გადახდილი თანხა			ხარჯები				%	შენიშვნა
		აკრედიტაციის განაცხადის საფასური	აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობა	სულ	შრომის ანაზღაურება	20%	მივლინება	სულ		
1	თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	6650	6900	1000	200	540	1740	25,2	
2	შპს საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტი	250	0	250	0	0	0	0	0,0	უარი თქვა აკრედიტაციაზე
3	შპს. სულხან-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი	250	0	250	0	0	0	0	0,0	უარი თქვა აკრედიტაციაზე
4	სსიპ-საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტი	250	9150	9400	2875	575	207	3657	38,9	
5	შპს. უმაღლესი სამედიცინო სკოლა "აიეტი"	250	1650	1900	690	138	0	828	43,6	
6	შპს ევროპული უნივერსიტეტი	250	1950	2200	620	124	0	744	33,8	
7	შპს საერო ინსტიტუტი "ორიენტირი"	250	1600	1850	625	125	0	750	40,5	
8	შპს. გორის მრავალპროფილიანი "მცირე აკადემია"	250	1650	1900	500	100	562	1162	61,2	
9	შპს. თბილისის სამუსიკო ხელოვნების ორსაფეხურიანი პედაგოგიური ინსტიტუტი	250	1150	1400	500	100	0	600	42,9	
10	შპს. თბილისის ყურძნის, ხოლბოსტნის წარმოების გადამამუშავების ტექნოლოგიის საქონელმცოდნეობის და სპეციალისტთა გადამზადების ინსტიტუტი	250	1150	1400	500	100	0	600	42,9	
11	შპს ალექსანდრე კუჭუხიძის სახელობის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი	250	1800	2050	625	125	0	750	36,6	
12	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	5900	6150	930	186	868	1984	32,3	
13	შპს თბილისის საავიაციო უნივერსიტეტი	250	0	250	500	100	0	600	240,0	უარი თქვა აკრედიტაციაზე

14	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	250	6050	6300	625	125	1220	1970	31,3	
15	შპს ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი	250	2100	2350	625	125	940	1690	71,9	
16	შპს ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი	250	1950	2200	500	100	960	1560	70,9	
17	შპს ქუთაისის იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტი	250	2600	2850	500	100	740	1340	47,0	
18	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია	250	7350	7600	1305	261	795	2361	31,1	
19	შპს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო სასწავლო ინსტიტუტი	250	1650	1900	500	100	0	600	31,6	
20	შპს სოხუმის აჩხარტიშვილის სახ. ეკონომიკურ ჰუმანიტარული ინსტიტუტი (ზესტაფონი)	250	1950	2200	500	100	724	1324	60,2	
21	შპს. საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი	250	0	250	375	75	0	450	180,0	
22	შპს. საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტი "დასტაქარი"	250	1650	1900	475	95	0	570	30,0	
23	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	250	3450	3700	625	125	0	750	20,3	
24	შპს შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტი	250	2150	2400	500	100	607	1207	50,3	
25	შპს საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი	250	1800	2050	625	125	0	750	36,6	
26	შპს აკეგნატე ფიფიას სახელობის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი	250	0	250	0	0	0	0	0,0	უარი თქვა აკრედი- ტაციაზე
27	შპს თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი	250	1650	1900	500	100	0	600	31,6	
28	შპს საქართველოს საგადასახადო-საბაჟო აკადემია	250	1800	2050	625	125	0	750	36,6	
29	შპს საქართველოს სახალხო ტურისტული კავშირი-დიდი აბრეშუმის გზა - ფილიალი "საქართველოს ტურიზმის აკადემია"	250	0	250	0	0	0	0	0,0	უარი თქვა აკრედი- ტაციაზე
30	შპს ფარმაცევტული ინსტიტუტი "ინტერფარმი +"	250	1300	1550	380	76	0	456	29,4	
31	შპს "თბილისის უნივერსიტეტი"	250	2100	2350	625	125	0	750	31,9	

32	შპს პეტრე შოთაძის სახელობის სამედიცინო აკადემია	250	2100	2350	625	125	0	750	31,9	
33	შპს საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი	250	1150	1400	625	125	0	750	53,6	
34	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	30000	30250	9760	1952	5981	17693	58,5	
35	ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფილიალი: ქუთაისის ფილიალი	250	3900	4150	1460	292	540	2292	55,2	
36	შპს თბილისის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტი	250	0	250	0	0	0	0	0,0	უარი თქვა აკრედი- ტაციაზე
37	ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	5300	5550	625	125	749	1499	27,0	
38	შპს ჟ.შარტავას სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი	250	1650	1900	500	100	0	600	31,6	
39	შპს ბათუმის თავისუფალი ხელოვნებისა და მეცნიერების ინსტიტუტი	250	1650	1900	690	138	1304	2132	112,2	
40	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	250	21200	21450	13410	2682	5388	21480	100,1	
41	შპს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი "ჰიპოკრატე"	250	1150	1400	500	100	0	600	42,9	
42	შპს თბილისის კომერციული სამედიცინო ინსტიტუტი "კავკასია" (პროგრესი 95)	250	0	250	0	0	0	0	0,0	უარი თქვა აკრედი- ტაციაზე
43	შპს უნივერსიტეტი "საქართველო"	250	3000	3250	625	125	0	750	23,1	
44	შპს ქ. რუსთავის დამოუკიდებელი ინსტიტუტი	250	1650	1900	625	125	0	750	39,5	
45	შპს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ საგანმანათლებლო კავშირი "საზოგადოება ცოდნა"-სთან არსებული უნივერსიტეტი	250	1800	2050	625	125	980	1730	84,4	
46	შპს თბილისის საერო უნივერსიტეტი "მეტეხი"	250	2900	3150	625	125	0	750	23,8	
47	შპს საერო უნივერსიტეტი "რვალი"	250	1650	1900	625	125	0	750	39,5	
48	შპს აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის და დერმატო-კოსმეტოლოგიის სამედიცინო ინსტიტუტი	250	0	250	0	0	0	0	0,0	უარი თქვა აკრედი- ტაციაზე

49	შპს ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი	250	3450	3700	500	100	780	1380	37,3	
50	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	250	1950	2200	750	150	0	900	40,9	
51	შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი	250	0	250	0	0	0	0	0,0	უარი თქვა აკრედი- ტაციაზე
52	შპს ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტი	250	1150	1400	500	100	780	1380	98,6	
53	საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	5900	6150	1395	279	0	1674	27,2	
54	აქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია	250	6050	6300	775	155	0	930	14,8	
55	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	250	4600	4850	775	155	0	930	19,2	
56	შპს. თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	250	3300	3550	875	175	0	1050	29,6	
57	შპს შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის (არასახელმწიფო) საერო უნივერსიტეტი	250	1300	1550	560	112	0	672	43,4	
58	სსიპ – თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	6300	6550	930	186	1405	2521	38,5	
59	შპს საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი "ESM-თბილისი"	250	2150	2400	930	186	0	1116	46,5	
60	სსიპ – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	4000	4250	775	155	1175	2105	49,5	
61	სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	9600	9850	2600	520	3999	7119	72,3	
62	შპს სამედიცინო ინსტიტუტი "ქუთაისი"	250	4200	4450	930	186	1425	2541	57,1	
63	სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	250	11100	11350	2450	490	0	2940	25,9	
64	სსიპ – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	8300	8550	3025	605	753	4383	51,3	
65	სსიპ – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	250	9400	9650	3015	603	7078	10696	110,8	
სულ:		16250	234050	250300	70755	14151	40500	125406	50,1	

მიმდინარე პროექტები:

2006 წელს აკრედიტაციის ცენტრის მიერ დაიწყო რამდენიმე პროექტის განხორციელება:

1. USAID -ის საქართველოს განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროგრამის (შემდგომში GEDA) ფარგლებში ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავება
2. TEMPUS-TACIS-ის პროექტი "აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში"
3. ცენტრის ვებ-გვერდი

1. **GEDA-ს ჯგუფთან** ერთად განხორციელდა პროექტი, რომლის მიზანი იყო აკრედიტაციის კრიტერიუმებიდან აკრედიტაციის სტანდარტებზე გადასვლა, რაც ახალი ეტაპი იქნება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესში. შემუშავდა აკრედიტაციის სტანდარტების პირველი სამუშაო ვერსია. ამ ვერსიაზე მომუშავე ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ GEDA-ს და განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, ხელმძღვანელობდა კანონით უმაღლესი განათლების შესახებ და ასევე საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოების მიერ აღიარებული ზოგადი სტანდარტებითა და კრიტერიუმებით. თბილისის და საქართველოს რეგიონების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაეგზავნათ წერილები, სადაც აკრედიტაციის ცენტრი მათ სთავაზობდა თანამშრომლობას სტანდარტების შემუშავების პროცესში, რადგანაც სამსხურის აზრით დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ამ პროცესში მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნებოდა სასურველი შედეგის მისაღწევად. 17-დან 26 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფების სამუშაო შეხვედრები. ამ შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ კომპეტენციის სხვადასხვა სფეროების: მართვა/ადმინისტრირება, ფინანსები, საგანმანათლებლო პროგრამები, ფაკულტეტების დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები, კვლევითი ინსტიტუტების/ცენტრების წარმომადგენლები, ხარისხის უზრუნველყოფა, რესურსების მართვა, მატერიალური რესურსები, ბიბლიოთეკა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, სულ 40 მონაწილე საქართველოს შემდეგი 20 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან:

1. სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი
2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
3. საზღვაო აკადემია (ბათუმი)
4. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
5. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი
7. სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
8. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. საქართველოს საერო ინსტიტუტი "რვალი" (რუსთავი)
10. უმაღლესი სამედიცინო სკოლა "აიეტი"
11. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

12. სტომატოლოგიური ინსტიტუტი
13. საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
14. თბილისის საავიაციო ინსტიტუტი
15. პეტრე შოთაძის სახელობის სამედიცინო აკადემია
16. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
17. თბილისი აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი
18. საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი
19. ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი
20. ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტი

საბოლოოდ, პროექტის სამუშაო ჯგუფმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით ჩამოაყალიბა 8 სტანდარტი. პროექტი ითვალისწინებს შემუშავებული სტანდარტების წარდგენას განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის ნორმატიული აქტის სახით დასამტკიცებლად. ეს სტანდარტებია:

სტანდარტი 1. მისია, მიზნები, ამოცანები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (შემდგომში უსდ) გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული მისია. მისია გამოხატავს უსდ-ს დანიშნულებას ქვეყნის უმაღლესი განათლების სივრცეში, პასუხობს მოცემულ ეტაპზე არსებულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოთხოვნებს და განსაზღვრავს, თუ ვის ემსახურება და რის მიღწევას აპირებს იგი. უსდ-ს საქმიანობა ეყრდნობა შემუშავებულ მისიას, რომელსაც იზიარებს მისი მართვის ორგანო, ადმინისტრაცია, ფაკულტეტები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

სტანდარტი 2. დაგეგმვა და შეფასება

მისიის საფუძველზე უსდ გეგმავს საკუთარ საქმიანობას და ქმნის მისი შეფასების მექანიზმს. შეფასების შედეგებს უსდ იყენებს ინსტიტუციური განახლებისთვის. გეგმის განხორციელება, მისი ეფექტურობის შეფასება და არსებული რესურსების ოპტიმალური განაწილება ხელს უწყობს უსდ-ს ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

სტანდარტი 3. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ს გააჩნია მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის სისტემა. მისი უპირველესი მიზანია მაქსიმალურად ეფექტურად წარმართოს უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო საქმიანობა დასახული მიზნებისა და მისიის განსახორციელებლად.

სტანდარტი 4. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის მისიას, დანიშნულებას და ხელს უწყობს მათ განხორციელებას. დასახული საგანმანათლებლო მიზნებისა და მისიის განხორციელების მიზნით, უსდ სისტემატურად ახორციელებს აკადემიურ დაგეგმვასა და შეფასებას, რაც მისი საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების პროცესის შემადგენელი კომპონენტია. აკადემიური

დაგეგმვის ღონისძიებები რეალისტურია და უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცხადებულ მიზნებსა და ხელმისაწვდომ რესურსებზეა ორიენტირებული.

სტანდარტი 5. აკადემიური პერსონალი

უსდ-ს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, აკადემიური თუ სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა და მათი რაოდენობა ადეკვატურია უსდ-ს მიერ დასახული მისიისა და მიზნების განსახორციელებლად.

სტანდარტი 6. სტუდენტები და მათი ხელშეწყობის სამსახურები

უსდ განსაზღვრავს იმ სტუდენტთა კონტინგენტს, რომლის ინტერესები, მიზნები და შესაძლებლობები შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის მისიას. უსდ უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს სტუდენტების ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის, ასევე მათი ცოდნის სამართლიან შეფასებას, რისთვისაც შეიმუშავებს შესაბამის კრიტერიუმებს/პროცედურებს.

სტანდარტი 7. რესურსები

უსდ-ს გააჩნია ადამიანური, ფინანსური, ფიზიკური, ტექნიკური და საინფორმაციო რესურსები, რომლებიც აუცილებელია უსდ-ს მისიისა და დასახული მიზნების მისაღწევად. ამ რესურსებს უსდ იყენებს მიზანმიმართულად, სწავლებისა და სწავლის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის.

სტანდარტი 8. პრინციპულობა და კეთილსინდისიერება

უსდ თავის საქმიანობასა და ურთიერთობას სტუდენტებთან, პროფესორებთან, მომსახურე პერსონალთან, მართვის ორგანოებთან, ასევე გარეშე ორგანიზაციებთან და საერთოდ საზოგადოებასთან წარმართავს მის მიერვე ჩამოყალიბებული ეთიკის კოდექსის საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, აკრედიტაციის სტანდარტების უმრავლესობა თვისობრივი და არა რაოდენობრივი ხასიათისაა და მიმართულია უმაღლესი სასწავლებლის მიერ დასახული მისიის განხორციელებაზე. ამასთან მხედველობაში იყო მიღებული, რომ აკრედიტაციის სტანდარტები გვიჩვენებს რა მინიმალურ ზღვარს უნდა აკმაყოფილებდნენ ხარისხიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებანი, აკრედიტაციის სტანდარტები უნდა იყოს რეალისტური და შესაძლებელი უნდა იყოს მათი დემონსტრირება-შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების მეშვეობით. ამასთან სტანდარტები არ უნდა იყოს მეტისმეტად ადვილად მიღწევადი, რომ არ მოხდეს განათლების ხარისხის გაუფასურება.



უმაღლესი განათლების სტანდარტების შემუშავება უნივერსიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. 2006 წელს აკრედიტაციის ცენტრმა დაიწყო თანამშრომლობა **TEMPUS-TACIS**-ის პროექტთან, რომლის მიზანია საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის სტრატეგიის განვითარება. პროექტის მოტივაციაა გავიზიაროთ მოწინავე ევროპული ქვეყნების გერმანიის, ავსტრიის და სხვათა სააკრედიტაციო სისტემების მუშაობის გამოცდილება, ვინაიდან ვინაიდან საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის საბოლოო მიზანია ბოლონის პროცესში ჩართვა და უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში გაერთიანება. ტასის ტემპუსის პროექტის ფარგლებში 2-3 ნოემბერს, თბილისში, სასტუმრო “სიმპათიაში” ჩატარდა სემინარი “აკრედიტაციის სისტემის განვითარების წინაპირობები საქართველოში.”

სემინარის მონაწილეებს მიესალმა განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქ-ნი ბელა წიფურია. მან მადლობა გადაუხადა სახელმწიფო სააკრედიტაციო ცენტრს და აკრედიტაციის საბჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესში გაწეული მუშაობისთვის და ხაზი გაუსვა ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის მნიშვნელობას, როგორც საქართველოს განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანების აუცილებელ პირობას.

სემინარში მონაწილეობას იღებდნენ უცხოელი ექსპერტები: ბ-ნი ოლივერ რაიზნერი (ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში), პროფესორი იურგენ მარტენსი (ვაიმარის უნივერსიტეტი, გერმანია), პროფესორი ვილიბალდ ლოისკანდლი (ბოკუს უნივერსიტეტი, ვენა, ავსტრია), ბ-ნ უესლი სნაიდერი USAID-ის საქართველოს განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროგრამის დირექტორი. მათ ისაუბრეს გერმანიაში, ავსტრიაში, სხვა ევროპულ ქვეყნებში და ამერიკაში არსებულ სააკრედიტაციო სისტემების მოდელებზე და ამ ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე განიხილეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სამსახურების როლი აკრედიტაციის პროცესის განვითარებაში. ამ კონტექსტში უცხოელმა

ექსპერტებმა ისაუბრეს აკრედიტაციის ცენტრსა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სამსახურებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ფორმებსა და პერსპექტივებზე.

სემინარში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლებმა საქართველოს 5 დიდი უმაღლესი სასწავლებლიდან: ბ-ნი გია ხუბუა(თსუ), ბ-ნი თენგიზ ურუშაძე (სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი), ბ-ნი გიორგი მენაბდე(თსსუ), ბ-ნი გიგა ზედანია, (ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი), ბ-ნი შალვა ნაჭყებია (ტექნიკური უნივერსიტეტი). მათ ისაუბრეს აკრედიტაციის პროცესის მნიშვნელობაზე მათი უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. აგრეთვე ხაზი გაუსვეს, რომ აკრედიტაციის პროცესი ეხმარება მათ მოახდინონ უნივერსიტეტში არსებული რესურსების მობილიზება და ადმინისტრირების პროცესის ეფექტურობის გაზრდა.

ასევე სემინარზე აკრედიტაციის ცენტრის დირექტორმა ნინო ჩუბინიძემ ისაუბრა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი და მიმდინარე აკრედიტაციის შედეგების შესახებ. მან ხაზი გაუსვა, იმას რომ აკრედიტაციის მთავარი მიზანია საქართველოში განათლების ხარისხისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება. აკრედიტაციის ცენტრი ამ პროექტის განხორციელებით გეგმავს შეისწავლოს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები, მათ საფუძველზე შექმნას ადეკვატური შეფასების სისტემა და გამოიყენოს იგი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ფარგლებში. პროექტი დასრულდება 2007 წლის ოქტომბერში.



კონფერენცია TEMPUS-TACIS-ის ფარგლებში, თბილისი, 2006 წლის ნოემბერი

3. აკრედიტაციის ცენტრმა მიმდინარე წელს დაიწყო აგრეთვე **ვებ-გვერდის პროექტის** განხორციელება. რის შედეგადაც ცენტრს ექნება სრულყოფილი ოფიციალური ვებ-გვერდი www.nea.ge.

ვებ-გვერდის პროექტის მიზანი იყო ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის გამჭვირვალობის და ინფორმაციის საჯაროობის გაზრდა. ამჟამად ვებ-გვერდზე განთავსებულია საზოგადოებისთვის ყველაზე უფრო აქტუალური ინფორმაცია. ეს არის საქართველოში არსებული აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების, პირობით


აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების და ბოლო აკრედიტაციის პროცესში მონაწილე არაკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების ჩამონათვალი და აგრეთვე მათთვის დადგენილი მაქსიმალური და მისაღები კონტიგენტის რაოდენობა. ვებ-გვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართი. სააკრედიტაციო ცენტრს დაგეგმილი აქვს ვებ-გვერდის შემდგომი განვითარება და გაფართოება, რათა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული და ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო ინფორმაცია.

სახელმწიფო სააკრედიტაციო ცენტრის სტრატეგიული გეგმა 2007-2012 წლებისათვის (პროექტი)

2006 წლის 23-26 აგვისტოს, ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) და ზოგადი განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის (GEDA) პროექტის თანამშრომლების შეხვედრა საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის აკრედიტაციის განვითარებისთვის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით. 2006 წლის თებერვალში დაარსებული ცენტრი წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის ოფიციალურ ორგანოს საქართველოში. GEDA-მ წარმოადგინა პრეზენტაციები და სამუშაო მასალა სამსახურის მიერ ორგანიზაციის ხედვის, მისიის, ფასეულობების, პროგრამის აღწერისა და საკვანძო სტრატეგიების განსაზღვრის ხელშეწყობის მიზნით. შედეგად სამსახურმა შეიმუშავა მისი საქმიანობის 5 წლიანი სტრატეგიული გეგმა. ზემოთ აღნიშნულის ფარგლებში, ცენტრმა ასევე ჩამოაყალიბა ძირითადი ღონისძიებების, ქმედებებისა და შედეგების 2006-2007 წლების განრიგი.

სხვადასხვა მიზეზის გამო, სამსახურის ფორმირების დროს, აქცენტი კეთდებოდა ცალკეულ “ქმედებებზე”, და არა გეგმებსა და სტრატეგიაზე. სტრატეგიული დაგეგმვა კარგი მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამასთან, ურთულესი პროცესი, რომელიც მოითხოვს ორგანიზაციის შესახებ ვრცელი ინფორმაციის ფლობას და მისი არსისა და მომავლის კარგად გაცნობიერებას. სამუშაო სესიაზე განხილულ იქნა სტრატეგიული დაგეგმვის შემდეგი ნაწილები: ხედვა, მისია, პროგრამის გაშუქება/აღწერა, პროგრამის ლოგიკა და სტრატეგიები. პროგრამის გაშუქების ნაწილი აღწერს ყველაზე პრიორიტეტულ საქმიანობებს, მათთან დაკავშირებულ შენატანებს¹ და რესურსებს, ასევე მყისიერ და დაგეგმილ/მისაღწევ შედეგებს.

პროგრამის გაშუქება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისთვის



¹ უკეთესი ტერმინის არარსებობის გამო ტერმინი “input” ითარგმნა როგორც “შენატანი”.

აქ ჩამოთვლილი პროგრამის ძირითადი მახასიათებლების მიხედვით ხდება პროგრამის ლოგიკის ჩამოყალიბება, რომელიც იძლევა ნათელ სურათს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს არსებული რესურსების მეშვეობით, რა მყისიერი შედეგი ექნება და გაწეულ საქმიანობას, და რა გრძელვადიანი ეფექტი ექნება ამა თუ იმ კონკრეტულ საქმიანობას (საკრედიტაციო ცენტრის პროგრამის ლოგიკა დეტალურად არის განხილული ცხრილი 1-ში, გვ. 9-13).

პროგრამის ლოგიკის დეტალებიდან გამომდინარე ე.წ. SWOP ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და პრობლემები) უფრო მარტივად უკავშირდება რეალურ პრიორიტეტულ საქმიანობებსა და კომპონენტებს. SWOP ანალიზის შედეგების წარმოჩენის შემდეგ, განისაზღვრება სტრატეგიული მიზნები და სტრატეგიები სისუსტეების დასაძლევად და პრობლემების მოსაგვარებლად. ცენტრი იყენებს საკუთარ ძლიერ მხარეებსა და შესაძლებლობებს თავისი სტრატეგიების სრულყოფისა და გასაძლიერებლად.

სტრატეგიები დაგეგმვის მარეგულირებელი მექანიზმებია, რაც ხელს უწყობს აკრედიტაციის პროცესსა და ცენტრის განვითარებას. სტრატეგიების განსაზღვრის შემდეგ ხდება ღონისძიებებისა (ქმედებების) და პროცესების დაგეგმვა (გაწერა, განრიგის შედგენა).

ხედა

საქართველოს ეროვნული საკრედიტაციო ორგანო – სახელმწიფო საკრედიტაციო ცენტრი:

1. ხელს შეუწყობს ნდობის გაღრმავებას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას (ეფექტური) ინსტიტუციური და პროგრამული შეფასების საქმეში;
2. მოიპოვებს მაღალკვალიფიციური და პროფესიული საკრედიტაციო ორგანიზაციის სანდო რეპუტაციას და აღიარებული იქნება საერთაშორისო საზოგადოების მიერ;
3. მჭიდროდ იქნება დაკავშირებული შრომის ბაზრის კვლევებთან ხარისხიანი პროფესიული განათლებისა და წარმატებული ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ხელშეწყობის მიზნით;
4. პარტნიორობას გაუწევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს თვითშეფასების პროცესში, სასკოლო სისტემის გაუმჯობესებისა და ხარისხიანი ზოგადი განათლების უზრუნველყოფის მიზნით;
5. იქნება პოლიტიკურად და ფინანსურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია;
6. აქტიურად ჩაებმება აკრედიტაციის საერთაშორისო ქსელში და ითანამშრომლებს შესაბამის ორგანიზაციებთან გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული განვითარების მიზნით, რათა იქცეს ერთიანი ევროპული საკრედიტაციო სისტემის განუყოფელ ნაწილად.

მისია

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახორციელებს სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციას, ხელს უწყობს ინსტიტუციური



თვითშეფასებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის კომპონენტების განვითარებას მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით და უზრუნველყოფს სააკრედიტაციო პროცესის ინტეგრირებას ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში.

დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები

მომდევნო ხუთი წლის სრულყოფილი სამუშაო სტრატეგიის შემუშავების მიზნით განისაზღვრა ცენტრის საქმიანობასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული რამდენიმე დაინტერესებული მხარე და მათი მოლოდინი ცენტრთან მიმართებაში, რაც განისაზღვრა მომავალი საქმიანობისა და პასუხისმგებლობების კონტექსტში. მომავალის შესახებ ამ მოსაზრებების საფუძველზე ცენტრმა პრიორიტეტების მიხედვით გაწერა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინები, რათა მოერგო საკუთარი გეგმები თავის საქმიანობის (ძირითად) პირობებთან და ამით გაემართლებინა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინი. ამ ეტაპზე ცენტრმა გადაწყვიტა ყურადღება გაამახვილოს შემდეგ დაინტერესებულ მხარეებზე:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და მათთან დაკავშირებული რესურს-ცენტრები
- დამოუკიდებელი საგანმანათლებლო ორგანიზაციები: გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სამსახური
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (ცენტრალური განყოფილებები)

ზემოთაღნიშნული თითოეული ინსტიტუციური ერთეულის ზრუნვის საგანი სტუდენტია. სტუდენტებისთვის აკრედიტაციის პროცესი უზრუნველყოფს განათლების სათანადო ხარისხსა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუდმივ განვითარებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ)

აკრედიტაციის პროცესების ჩამოყალიბება სხვადასხვა სახის უმაღლესი სასწავლებლისთვის წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის რომ შეესაბამებოდნენ ბოლონიის პროცესს. ამგვარად, უსდ-ები მოელიან, რომ სრულყოფილი, სამართლიანი და გამჭვირვალე აკრედიტაციის მეშვეობით ცენტრი მათ დაეხმარება ბოლონიის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. უსდ-ებისა და მათი პროგრამების აკრედიტაცია ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ევროპის შრომის ბაზართან ინტეგრირებას და მისცემს საშუალებას გააგრძელონ სწავლა როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ. აკრედიტაციის პროცესი, რომელიც ადგილობრივ პირობებსა და კონტექსტს ითვალისწინებს, თანდათან ვითარდება და იხვეწება უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის სტანდარტების მეშვეობით (სტანდარტების სამუშაო ვერსია თანდართულია). აღნიშნული სტანდარტები ასრულებენ სახელმძღვანელო პრინციპების როლს უსდ-ს მიერ საკუთარი მისიის შესრულების თვით-შეფასებისა და გარე ექსპერტთა შეფასების პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია ორმაგ მიზანს ისახავს - პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლება და სწავლების ხარისხისა და შესაბამისობის უზრუნველყოფა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა ემსახურობდნენ სტუდენტებსა და კერძო მრეწველობას და ქმნიდნენ კვალიფიციურ მუშახელს, რომელიც დააკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უწყვეტი ციკლის პირობებში, სკოლის შემდგომი პროფესიული განათლება რეფორმის განუყოფელი ნაწილი გახდა. მოძველებულმა აქცენტებმა მუშახელის ზუსტ გათვალსა და ვიწრო სპეციალიზაციაზე ასპარეზი დაუთმო უფრო საგანმანათლებლო მიდგომებს, როგორცაა უნარების ერთობლიობა და მოქნილი პროგრამები, რომელიც პროფესიულ და აკადემიურ სფეროებს შორის მობილობის საშუალებას ქმნის. ცენტრი ასრულებს კატალიზატორის ფუნქციას ზოგად ინსტიტუციურ სფეროში მნიშვნელობისა და ხარისხის განსაზღვრის საქმეში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და მათთან დაკავშირებული რესურს ცენტრები

ძირეული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების (1-12 კლასები) აკრედიტაცია. ზოგადი განათლების შესახებ ახალი კანონისა და დებულებების თანახმად, სკოლებმა მეტი ავტონომიურობა და თვითმმართველობა მოიპოვეს. სკოლებმა და მათ მიერ არჩეულმა სამეურვეო საბჭოებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ თვით-შეფასებისა და უწყვეტი განვითარების პასუხისმგებლობა, რათა უკეთ ემსახურონ ადგილობრივ საზოგადოებას. გარდა ამისა, სკოლამ მოსწავლეებს უნდა შეუქმნას უფრო ფართო ასპარეზი და ახალი შესაძლებლობები უმაღლესი და პროფესიული განათლების სფეროში და შრომის ბაზარზე. რესურს-ცენტრების ქსელმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა უნდა გაუწიოს ზოგადი განათლების აკრედიტაციის პროცესს და დაეხმაროს სკოლებს თვით-შეფასებასა და სხვა საქმიანობაში, რაც კი ცენტრის ეგიდით ხორციელდება.

დამოუკიდებელი ორგანიზაციები

ცენტრი აკრედიტებული სკოლების სიებს წარუდგენს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე აბიტურიენტებს. თითოეულ აკრედიტებულ უმაღლეს დაწესებულებაში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ადგენს აკრედიტაციის პროცესი. ამასთან, ყოველი აკრედიტებული დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს იმ სტუდენტთა რიცხვს, რომლის ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფაც შეუძლია. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტი მოელის, რომ მას კვალიფიციური და საკუთარი საქმის პროფესიონალი მასწავლებლები ასწავლიან. ცენტრი თანამშრომლობს ეროვნულ პროფესიული განვითარების ცენტრთან პედაგოგიური საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტების დადგენისა და შეფასების პროცესისთვის აკრედიტაციის ინსტიტუციური სტანდარტების ფარგლებში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მიმდინარე რეფორმის ფარგლებში ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზედამხედველობას უწევს აკრედიტაციის პროცესების თანმიმდევრულობას აკრედიტაციის სტანდარტებთან და ზოგადად, ბოლონის პროცესებთან მიმართებაში. ზოგადი განათლების აკრედიტაციის პროცესის განვითარებისას აუცილებელი ხდება თანამშრომლობის გაძლიერება სახელმწიფო პროგრამების განყოფილებასთან; ამ პროცესის განხორციელება კოორდინირებული იქნება ტერიტორიული წარმომადგენლობისა და საინფორმაციო მართვის განყოფილებების საშუალებით.

განვითარების მიზნები

განვითარების მიზნები განსაზღვრავს იმ მიღწევებს, რისი განხორციელებაც განზრახული აქვს ეროვნული აკრედიტაციის ცენტრს ხუთწლიანი გეგმის პერიოდში. ამ მიზნებიდან გამომდინარეობს სამუშაო გეგმა და განისაზღვრება საჭირო რესურსები. ორი ძირითადი მიზნობრივი სფერო შემდეგნაირად განისაზღვრა:

ორგანიზაციული

- აკრედიტაციის დებულების სრულყოფა.
- აკრედიტაციის შესახებ თავის სრულყოფა კანონში.
- განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზება (უმაღლესი განათლების შესახებ კანონში პროფესიული განათლების შესახებ სექციის ჩამატებისა და ზოგადი განათლების აკრედიტაციის პროცესში დაგეგმილი მოდიფიკაციებიდან გამომდინარე).
- საჭიროებათა შეფასების პროცედურებისა და მეთოდების განვითარება სტრატეგიული და წლიური დაგეგმვის შემუშავებისა და განხილვისათვის.
- ინსტიტუციური სტანდარტების შემოღების შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა გუნდის (კოლეგიალური შეფასების გუნდის) შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება.
- თანამშრომელთა შესაძლებლობების შემდგომი განვითარება და ორგანიზაციული შესაძლებლობების ზრდა.

აკრედიტაციის პროცესი

უმაღლესი განათლების დონე

- ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავება და ოფიციალური გამოქვეყნება.
- პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავება შესაბამის ორგანიზაციებსა და ჯგუფებთან თანამშრომლობის გზით.
- აკრედიტაციის პროცესისთვის მზადება და მისი ადმინისტრირება.
- აკრედიტაციის ექსპერტთა გუნდის (კოლეგიალური შეფასების გუნდის) მომზადება/გადამზადება.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენელთა ტრენინგები.
- აკრედიტებული დაწესებულებების რეესტრის შექმნა (დაწყებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან).
- სტრატეგიის შემუშავება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის შესახებ საზოგადოების ზუსტი ინფორმირების უზრუნველსაყოფად.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დონე

- საქმიანობათა დაგეგმვა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შეტანილი ახალ ცვლილებების შესაბამისად.
- ახალ პროგრამებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სფეროში, შესაბამისი პროგრამებისა და ინსტიტუციური სტანდარტების შემუშავების მიზნით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და ტრენინგ-პროგრამების შექმნა აკრედიტაციის პროცესის განსახორციელებლად.
- აკრედიტაციის პროცესში პროფესიულ გაერთიანებათა ჩართვის ხელშეწყობა.

ზოგადი განათლების დონე

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გრძელვადიანი აკრედიტაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლებაზე მიმართული საქმიანობა.
- პროცედურების განსაზღვრა და თვით-შეფასებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ტრენინგის მოწყობა აკრედიტაციის პროცესისთვის მოსამზადებლად.
- სკოლების აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავება განათლების რესურს-ცენტრების საშუალებით სკოლებთან და მათ საზოგადოებებთან მუშაობის საფუძველზე.
- იურიდიული მოთხოვნის შესაბამისად აკრედიტაციის პროცესის დაწყება.

შერჩეული პროგრამის დახასიათება

სტრატეგიული გეგმის პროგრამული ნაწილი გაშუქებულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში:

ცხრილი 1

შენატანები/რესურსები	შიდა პროცესები	უშუალო შედეგები	დაგეგმილი შედეგები
ორგანიზაციული სფერო			
2 იურისტი, აკრედიტაციის 2 სპეციალისტი და ცენტრის დირექტორი	შიდა და გარე კონსულტაციები და დოკუმენტების მომზადება	იურიდიული დოკუმენტების განხილვა შესაბამისი განყოფილებებისა და სამინისტროების მიერ	აკრედიტაციის დებულების სრულყოფა
1 იურისტი ცენტრიდან და ცენტრის დირექტორი და 2 იურისტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან	გარე კონსულტაციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტთან, დოკუმენტის მომზადება	ახალი კანონპროექტის შესაბამისი განყოფილებებისა და სამინისტროების მიერ	კანონში აკრედიტაციის შესახებ თავის სრულყოფა
3 სამმართველოს უფროსი, 1 იურისტი და ცენტრის დირექტორი; მოწვეული კონსულტანტები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	შიდა და გარე კონსულტაციები, კონცეფციის შემუშავება, პერსონალის ახალი წევრების შერჩევა	ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნა, დამატებითი შტატის მიღება	სახ. სააკრედიტაციო ცენტრის რეორგანიზება
GEDA-ს ქართველი სპეციალისტები და საერთაშორისო კონსულტანტები	საჭიროებათა შეფასების სემინარებსა და მის შემდგომ საკმიანობებში ჩართვა	პერსონალის აქტიური მონაწილეობა საჭიროებათა შეფასების ტექნიკის ჩამოყალიბებაში	საჭიროებათა შეფასების პროცედურებისა და მეთოდების განვითარება სტრატეგიული და წლიური დაგეგმვის შემუშავებისა და განხილვისათვის
აკრედიტაციის 2 სპეციალისტი, 1 იურისტი GEDA-ს აკრედიტაციის 1 ადგილობრივი სპეციალისტი	შიდა კონსულტაციები და დოკუმენტების მომზადება	შემფასებელთა ჯგუფის შერჩევის ახალი კრიტერიუმების განხილვა, წინასწარ შერჩეული შემფასებელი კომისიის მიერ	აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა ინსტ. სტანდარტების შემოღების შემდეგ
რესურსების განყოფილების უფროსი, აკრედიტაციის 1 სპეციალისტი	სხვადასხვა ტრენინგ კურსები და სემინარები	პერსონალის წევრების ტრენინგი	თანამშრომელთა შემდგომი განვითარება და შესაძლებლობების შექმნა
აკრედიტაციის პროცესის სფერო			
უმაღლესი განათლების დონე			
აკრედიტაციის 2 სპეციალისტი, ცენტრის 2 იურისტი. GEDA-ს პროექტის შემადგენლობა: 2 ადგილობრივი სპეც., 1 საერთაშორისო ექსპერტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ინსტ. აკრედიტაციის სტანდარტების პროექტი; სტანდარტების განხილვა უსდ-ს წარმომადგენლების მიერ; ცვლილებების შეტანა სტანდარტებში	სააკრედიტაციო ცენტრის მიერ სტანდარტების საბოლოო ვერსიის განათლებისა და მეცნიერების მინისტრისთვის წარდგენა	ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავება და ოფიციალური გამოქვეყნება

შენატანები/რესურსები	შიდა პროცესები	უშუალო შედეგები	დაგეგმილი შედეგები
აკრედიტაციის 2 სპეციალისტი, ცენტრის 1 იურისტი. პროფესიულ ასოციაციათა წარმომადგენლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შესაბამისი დაინტერესებული სამინისტროები	სამუშაო ჯგუფების შექმნა; პროგრამების სტანდარტების პროექტის შემუშავება; სტანდარტების განხილვა შესაბამისი სამინისტროებისა და სხვა პროფესიონალების მიერ	პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავება შესაბამის ორგანიზაციებსა და ჯგუფებთან ერთად	სტანდარტების საბოლოო ვერსიის სააკრედიტაციო ცენტრის მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარდგენა
3 იურისტი, 3 აკრედიტაციის სპეც., ფინანსური მენეჯერი, 1 ლოგისტიკის სპეციალისტი. 3 ქვეკონტრაქტორი ტრენინგ-სპეციალისტი	აკრედიტაციის პროცესებისთვის მზადება და ადმინისტრირება	ტრენინგი თვით-შეფასებისა და ექსპერტთა შეფასების პროცესებისათვის	მკაფიო პროცედურებისა და პროცესების განსაზღვრა აკრედიტაციის ყოველი საფეხურისათვის; თვითშეფასება, გარე ექსპერტთა შეფასება, აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება
3 აკრედიტაციისა და 1 ლოგისტიკის სპეც., 1 იურისტი 3 ქვეკონტრაქტორი ტრენინგისპეციალისტი; GEDA-ს 3 ადგილობრივი სპეც., 1 საერთაშორისო კონსულტანტი	ტრენინგ მოდულების შემუშავება; ექსპერტების (გარე შემფასებელთა) შერჩევა; ტრენინგის ჩატარება	ტრენინგი გაიარა დაახლოებით 100-მა ექსპერტმა (გარე შემფასებელმა)	ექსპერტთა (გარე შემფასებელთა) ჯგუფის წარმომადგენლების მომზადება/გადამზადება
3 აკრედიტაციისა და 1 ლოგისტიკის სპეც., 1 იურისტი 3 ქვეკონტრაქტორი ტრენინგ-სპეციალისტი; GEDA-ს 3 ადგილობრივი სპეც., 1 საერთაშორისო კონსულტანტი	ტრენინგ მოდულების განვითარება; ტრენინგის ჩატარება	ტრენინგი გაიარა აკრედიტებული უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა ტრენინგის უზრუნველყოფა
ორგანიზაციულ მონაცემთა ბაზის 1 და საინფორმაციო ტექნოლოგიების 1 სპეც.	მონაცემთა შეგროვება და მათი მონაცემთა ბაზაში ორგანიზება	ყველა აკრედიტებული უსდ მონაცემთა ბაზაში შეტანა	რეესტრის შექმნა და წარმოება
PR კომპანია, ცენტრის დირექტორი, სამმართველოს უფროსები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამმართველო, GEDA –ს 1 ადგილობრივი სპეციალისტი, მოწვეული ექსპერტი	უმაღლესი და ზოგადი განათლების სფეროებში GEDA –ს მიერ ტექნიკური დახმარებით განხორციელებული მხარდაჭერა	სტრატეგიისა და ტრენინგის განვითარება სამინისტროს საზ. ურთ.-ის ჯგუფსა და ცენტრთან თანამშრომლობით. კონტაქტების დამყარება და მოლაპარაკებების წარმოება ადგილობრივ PR კომპანიებთან გრძელვადიანი PR საქმიანობის განსახორციელებლად	PR სტრატეგიის განხორციელება სახელმწიფო სააკრედიტაციო ცენტრისათვის
სამმართველოს უფროსები და ცენტრის დირექტორი	რეგულარული შეხვედრების გამართვა პროფესიულ ასოციაციათა წარმომადგენლებთან	იურიდიული და სამედიცინო სფეროს პროფ. ასოციაციათა წარმომადგენლების რეგულარული დასწრება ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეკრებებზე	პროფ. ასოციაციათა ჩართვის ხელშეწყობა აკრედიტაციის პროცესში

შენატანები/რესურსები	შიდა პროცესები	უშუალო შედეგები	დაგეგმილი შედეგები
<i>პროფესიული განათლების დონე</i>			
3 განყოფილების უფროსი, ცენტრის დირექტორი	შესაბამისი პერსონალის შერჩევა და მოზიდვა	პერსონალის ტრენინგი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის პროცესის უზრუნველსაყოფად	საქმიანობათა დაგეგმვა კანონმდებლობის შესაბამისად
ცენტრის დირექტორი, სამმართველოს უფროსები, პროფესიული განათლების აკრედიტაციისათვის დაქირავებული პერსონალის წარმომადგენლები. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტები	სამუშაო ჯგუფების შექმნა; ინსტიტუციური და პროგრამული სტანდარტების პროექტის შექმნა; სტანდარტების განხილვა შესაბამისი სამინისტროებისა და სხვა პროფესიონალების მიერ;	სტანდარტების საბოლოო დამტკიცება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ	პროფესიული განათლების ახალ პროგრამებსა და დაწესებულებებთან თანამშრომლობა შესაბამისი პროგრამისა და ინსტიტუციური განვითარებისათვის
<i>ზოგადი განათლების დონე</i>			
ცენტრის დირექტორი, სამმართველოს უფროსები, ზოგადი განათლების აკრედიტაციისათვის დაქირავებული პერსონალი. GEDA-ს აკრედიტაციის ჯგუფი, 1 საერთაშორისო ექსპერტი	სემინარის მოდულების შემუშავება	რეგიონული სემინარების მოწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და განათლების რესურს-ცენტრების წარმომადგენლებისათვის	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გრძელვადიანი აკრედიტაციის პროცესის შესახებ ინფორმირებასთან დაკავშირებული საქმიანობები
ცენტრის სამმართველოს უფროსები, ზოგადი განათლების აკრედიტაციისათვის დაქირავებული პერსონალი. GEDA-ს პროექტის აკრედიტაციის ჯგუფი, 1 საერთაშორისო ექსპერტი	ტრენინგ-მოდულების შემუშავება თვით-შეფასებისა და ექსპერტთა შეფასების საკითხებისათვის	რეგიონული ტრენინგების ჩატარება თვით-შეფასებისა და ექსპერტთა შეფასებასთან დაკავშირებით სკოლების წარმომადგენლებისათვის	პროცედურების განსაზღვრა და თვით-შეფასებისა და გარე ექსპერტთა ტრენინგის მოწყობა აკრედიტაციის პროცესის უზრუნველსაყოფად
ცენტრის დირექტორი, სამმართველოს უფროსები, 2 იურისტი, ზოგადი განათლების აკრედიტაციისათვის დაქირავებული პერსონალის წარმომადგენლები. GEDA-ს პროექტის აკრედიტაციის ჯგუფი, 1 საერთაშორისო	სამუშაო ჯგუფების შექმნა; აკრედიტაციის სტანდარტების პროექტის შექმნა; სტანდარტების განხილვა განათლების რესურს-ცენტრებისა და სკოლების წარმომადგენლების მიერ; სტანდარტებში ცვლილებების შეტანა	სტანდარტების საბოლოო ვერსიის დამტკიცება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ	სკოლების აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავება განათლების რესურს-ცენტრების მეშვეობით სკოლებსა და სხვადასხვა საზოგადოებებთან მუშაობის გზით
ცენტრის დირექტორი, 3 იურისტი, ზოგადი განათლების აკრედიტაციისათვის დაქირავებული პერსონალი, 1 ლოგისტიკის სპეც., ფინანსური მენეჯერი, განათლების რესურს-ცენტრის წარმომადგენელი	საბოლოო ვადების გამოცხადება; მკაფიო პროცედურებისა და პროცესების შემუშავება აკრედიტაციის თითოეული საფეხურისათვის	აკრედიტაციის პროცესის დაწყება იურიდიული მოთხოვნის შესაბამისად.	სკოლის აკრედიტაციის პროცესის განხორციელება

სტრატეგიები განვითარების მიზნების მისაღწევად

მისიის შესასრულებლად მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი კონცენტრირებას ორი მიმართულებით ახდენს:

1. **ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიები** – რათა უზრუნველყოს სტაბილური და საიმედო ორგანიზაციის არსებობა;
2. **თავად აკრედიტაციის პროცესის შემდგომი გაუმჯობესება** – რათა უზრუნველყოფილ იქნას მთლიანად ორგანიზაციისა და მის მიერ განხორციელებული კონკრეტული საქმიანობის საიმედოობა.

ორგანიზაციული

• სტრატეგია №1 – ორგანიზაციული შესაძლებლობების უზრუნველყოფა

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი საკმაოდ სწრაფად შეიქმნა. ცენტრის საქმიანობის სპექტრი საკმაოდ ვრცელია, ხოლო საქართველოში, კვალიფიცირებულ სპეციალისტთა რიცხვი მცირეა, რომელსაც აკრედიტაციის სფეროში გავლილი აქვს ტრენინგი, ან მიღებული აქვს სათანადო გამოცდილება ამ კუთხით. უახლოეს დროში სამუშაოს მოცულობის მოსალოდნელი ზრდის პირობებში, ცენტრს ესაჭიროება საკუთარი პერსონალის გადამზადება ახალი პერსონალის დაქირავება სათანადო ტექნიკური უნარებითა და/ან აკრედიტაციის სფეროში მუშაობის შესაბამისი გამოცდილებით და ასევე, არსებული პერსონალის უნარებისა და შესაძლებლობების რეორგანიზება. გაფართოებული ტრენინგ-პროგრამა დაგეგმილია GEDA-სა (ინსტიტუციური აკრედიტაცია განათლების სისტემის ყველა დონეზე) და TACIS/TEMPUS პროექტებთან (პროგრამული აკრედიტაცია უმაღესი განათლების სისტემაში) ერთად. დამატებითი ტრენინგებია გათვალისწინებული უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და ექსპერტთა (კოლეგიალური შეფასების) გუნდებისთვის.

• სტრატეგია №2 – ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა

ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოერგოს მის გაზრდილ სამუშაო მოცულობას და შეინარჩუნოს მოქნილობა სხვადასხვა დონისა და სახის საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროგრამის შესაბამისად. ეს კი მოითხოვს მრავალმხრივ კონსულტაციებსა და ტექნიკურ მხარდაჭერას, ისევე როგორც იურიდიული ბაზის ადაპტირებას როგორც ორგანიზაციული, ასევე აკრედიტაციის პროცესის თვალსაზრისით. არსებული სტრუქტურა, წარმოდგენილი სამი განყოფილებით (იურიდიული, აკრედიტაციისა და რესურსების) უფრო მეტად შეესაბამება ტექნიკურ მხარდაჭერას და სრულად ვერ ასახავს სააკრედიტაციო სამუშაოს განსხვავებულ ტიპებსა და კონტექსტს. ამ სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში, ცენტრი მუშაობს საკუთარი სამომავლო საჭიროებებისა და ორგანიზაციის დაკომპლექტებისათვის აუცილებელი მოთხოვნების განსაზღვრაზე.

- **სტრატეგია №3 – ცენტრის ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა**

მოსალოდნელია, რომ სამინისტროს არსებული ფინანსური მხარდაჭერა შემცირდეს, ან შეიცვალოს მიმართულება იმ მოსაზრებით, რომ ცენტრი შეძლებს აკრედიტაციის პროცესიდან შემოსავლის გენერირებას. ფინანსური შესაძლებლობების ზრდა და მოცულობა დამოკიდებულია ადექვატურ ფინანსურ მხარდაჭერაზე, რომელიც სტაბილური და საიმედო იქნება. მიმდინარე გეგმები მიმართულია მომდევნო წლებში შემოსავლების გენერირების/თანხების მოზიდვის შესაძლებლობების ძიებაზე.

აკრედიტაციის პროცესი

- **სტრატეგია №4 – ეფექტური საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) პოლიტიკის შემუშავება საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით ზოგადი, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი განათლების დონეზე**

სამინისტროსა და GEDA-ს პროექტთან ერთად, აკრედიტაციის ცენტრი სოციალური მარკეტინგისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების პროგრამები დაგეგმილია იმისათვის, რომ მოხდეს ცენტრის ფუნქციებისა და მიზნების; ასევე, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების კომუნიკაცია საზოგადოებასთან. ამით მოხდება ამჟამად არსებული აკრედიტაციასთან დაკავშირებული გაურკვევლობებისა და მცდარი ინფორმაციისა და არსებობს სხვადასხვა საზოგადოებასა და დაწესებულებებში. ამ გეგმის აქტივირება პერსონალს, ფინანსებსა და ტექნიკურ დახმარებას მოითხოვს.

- **სტრატეგია №5 – ეფექტური აკრედიტაციის პროცესის შექმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის**

ადრეულ ეტაპზე უმაღლესი განათლების აკრედიტაციის პროცესის ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ შენატანების (input) კრიტერიუმებს, რომელიც წარმოადგენდა სამინისტროს მიერ დადგენილ ხარისხის მინიმალურ მახასიათებელს. აკრედიტაციის სტანდარტების ჩამოყალიბების, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფების გადამზადებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ახლად შერჩეული გაუმჯობესებული ჯგუფების საშუალებით პროცესი იქცევა საერთაშორისოდ აღიარებულ და შედეგებზე ორიენტირებულ “აკრედიტაციად”.

• **სტრატეგია №6 – პროფესიულ-ტექნიკური განათლების დაწესებულებების აკრედიტაციისათვის მომზადება**

თავდაპირველი ტრენინგი პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო გეგმის სტანდარტების საკითხებზე, ოკლაჰომას უნივერსიტეტის მეშვეობით ჩატარდა. სხვა დისკუსიები პროფესიულ-ტექნიკური სფეროს საჭიროებებისა და შესაძლებლობების საკითხებზე, GEDA-ს პროექტმა უზრუნველყო. ეს სფერო უაღრესად მნიშვნელოვან სფეროდ განიხილება მათთვის, ვინც ვერ მოხვდა აკრედიტებულ აკადემიურ დაწესებულებებსა და პროგრამებში. არსებობს დიდი იმედი იმისა, რომ პროფესიულ-ტექნიკური მომზადება უზრუნველყოფს ძლიერ სამუშაო ძალას იმ სფეროებში, სადაც მუშახელის მოზიდვა ამჟამად ქვეყნის გარედან ხდება. ამასთანავე, გაუმჯობესებული უნარების მქონე პერსონალის გამოყენება მეტად ხელსაყრელი იქნება ეკონომიკური განვითარებისთვის. აკრედიტაციის პროცესის ამოცანაა ამ სფეროს შეუქმნას მკაფიოდ განსაზღვრული სტატუსი, რათა სწავლების ხარისხთან დაკავშირებული რწმენისა და პრესტიჟის ზრდა ტექნიკურ და პროფესიულ შრომასთან ასოცირდებოდეს. პროცესის მომზადებას გულისხმობს სტანდარტების შემუშავებას და აკრედიტაციის პროცესის ზედმიცევით აღწერას სხვადასხვა სახის დაწესებულებებისა და პროგრამებისათვის.

• **სტრატეგია №7 – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აკრედიტაციისათვის მომზადება**

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ასევე აწარმოებს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის აკრედიტაციას. სისტემა მოიცავს 2300-ზე მეტ საშუალო სკოლას ქვეყნის მასშტაბით. დეცენტრალიზაციის პროცესში GEDA-ს პროექტის გარკვეული მხარდაჭერით და განათლების რესურს ცენტრების სისტემის შექმნით, ზოგადი განათლების აკრედიტაციის პროცესი ემყარება სკოლებსა და რესურს-ცენტრებში განხორციელებულ თვით-შეფასებას, რაც დროთა განმავლობაში გამოიწვევს შეფასების გამოცდილების ისნტიტუციონალიზებას სისტემის დონეზე. აღნიშნული სამუშაო იწყება რესურს-ცენტრების პერსონალის და შემდგომში სკოლის მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოების წევრების ტრენინგით მომდევნო ორი წლის მანძილზე. აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცესის სხვა დეტალების შემუშავება დამატებით ტექნიკურ მხარდაჭერას მოითხოვს. ცენტრს ესაჭიროება დამატებითი პერსონალი ამ საქმიანობის განსახორციელებლად.

2007-2008 სასწავლო წლამდე აკრედიტებული 119 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სია:

1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ახალციხის ფილიალი
3	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ახალქალაქის ფილიალი
4	ბათუმის თავისუფალი ხელოვნებისა და მეცნიერების ინსტიტუტი
5	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6	ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
7	ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
8	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
9	ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი
10	ბათუმის უცხოურ ენათა ინსტიტუტი
11	თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცაგერის ფილიალი
12	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალი
13	გორის მრავალპროფილიანი მცირე აკადემია
14	ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი
15	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ მარნეულის ფილიალი
16	თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარნეულის ფილიალი
17	ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტი
18	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ოზურგეთის ფილიალი
19	ბათუმის სახელმწიფო საავიაციო ინსტიტუტი
20	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
21	ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი
22	ქუთაისის იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტი
23	ქუთაისის ხელოვნების და პედაგოგიკის ინსტიტუტი “კოლხა”
24	ქუთაისის სამედიცინო ინსტიტუტი “ქუთაისი”
25	ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი “ლამპარი”
26	რუსთავის დამოუკიდებელი ინსტიტუტი
27	რუსთავის საერო ინსტიტუტი “რვალი”
28	საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
29	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სიღნაღის ფილიალი
30	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
31	ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტი
32	საქართველოს ხარისხის მართვის უნივერსიტეტი
33	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
34	თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
35	უნივერსიტეტი “საქართველო”

36	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
37	საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი
38	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი «ალმა მატერი»
39	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
40	პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
41	თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი “აჭარა”
42	საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტი “დასტაქარი”
43	თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი “ჰიპოკრატე”
44	თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
45	პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტი
46	თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი
47	თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტი
48	შრომის და წარმოების ორგანიზაციის სამეცნ-სასწავლო ინსტიტუტი
49	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
50	თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი
51	საფინანსო იურიდიული აკადემია
52	უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტი”
53	თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი
54	საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
55	საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი
56	საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი
57	თბილისის სავაჭრო-ეკონომიკური ინსტიტუტი
58	თბილისის საერო უნივერსიტეტი “მეტეხი”
59	თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი
60	საქართველოს საბაჟო აკადემია
61	თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
62	თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
63	საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებული “მცირე აკადემია”.
64	თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტი
65	თბილისის ბიზნესის აკადემია
66	შპს “ინტერბიზნესი” თამარ მამისთვალავ-კეზერაშვილის სახელობის საქართველო-ისრაელის სტომატოლოგიის ინსტიტუტი
67	თბილისის ბიზნესისა და სამართლის საერთაშორისო უნივერსიტეტი
68	ფარმაცევტული ინსტიტუტი “ინტერფარმი+”
69	სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ფილოსოფიის, თეოლოგიის, კულტურის და ისტორიის ინსტიტუტი
70	საქართველოს დიპლომატიური აკადემია
71	საქართველოს საგადასახადო-საბაჟო აკადემია
72	თბილისის საერთაშორისო ურთიერთობის უნივერსიტეტი
73	თბილისის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტი
74	თბილისის საერო უნივერსიტეტი “გაენათი”
75	წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტი
76	საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია
77	თ. მუხაძის სახელობის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი “ივერია”
78	საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი “იესემ-თბილისი”
79	ეგნატე ფიფიას სახელობის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი

80	თბილისის ეკონომიკისა და სამართლის აკადემია
81	სამედიცინო ინსტიტუტი და კოლეჯი “თბილისი”
82	თბილისის იურიდიული ინსტიტუტი
83	ბიოლოგიური მედიცინის და ეკოლოგიის ინსტიტუტი
84	ტელეკომუნიკაციების და მენეჯმენტის ინსტიტუტი “ლამპარი”
85	ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი
86	სოხუმის ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი
87	სამედიცინო, ზოგადი და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სასწავლო ინსტიტუტი
88	საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული ინსტიტუტი
89	თბილისის სასწავლო-ეკონომიკური ინსტიტუტი
90	თბილისის ყურძნის, ხილ-ბოსტნეულის წარმოების, გადამუშავების, საქონელმცოდნეობის და სპეციალისტთა გადამზადების სასწავლო ინსტიტუტი
91	თბილისის სამუსიკო ხელოვნების ორსაფეხურიანი პედაგოგიური ინსტიტუტი
92	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
93	საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი
94	აღდგენითი პლასტიკური ქირურგიისა და დერმატოლოგია-კოსმეტოლოგიის სამედიცინო ინსტიტუტი
95	კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი
96	“კლინიცისტი” - ა/ს საერო ორსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი
97	კლასიკური და ტრადიციული მედიცინის აკადემია
98	კავკასიის აკადემიური ცენტრი (სი-ეი-სი)
99	ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი
100	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალი
101	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
102	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ზუგდიდის ფილიალი
103	ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
104	საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ზუგდიდის ფილიალი
105	თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი «გორგასალი»
106	წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
107	თბილისის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტი
108	თბილისის საერო ინსტიტუტი “ორიენტირი”
109	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
110	საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
111	თბილისის საავიაციო ინსტიტუტი
112	“სტომატოლოგიური ინსტიტუტი”
113	“კავკასიის უნივერსიტეტი”
114	ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი
115	რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი
116	საერო უნივერსიტეტი “აღმაშენებელი”
117	თბილისის დამოუკიდებელი ინსტიტუტი “ეგრისი”
118	თბილისის საერო სამედიცინო ინსტიტუტი
119	ლაგოდეხის რეგიონალური სამეცნიერო სასწავლო-საწარმოო ცენტრის ლაგოდეხის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2007-2008 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და ახლადდაფუძნებული (აკრედიტებულთან გათანაბრებული) ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სია

№	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	აკრედიტაციის ს მინიჭების ბრძანების №	კონტინგენტის განსაზღვრის ბრძანების №	სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი	სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი
1	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	64/ა	129/ა	1333	249
2	შპს სრულიად საქართველოს საზოგადოება "თანადგომა და ამაღლება" საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	65/ა	124/ა	636	243
3	შპს გორის მრავალპროფილიანი "მცირე აკადემია"	66/ა	130/ა	300	85
4	შპს თბილისის საერო უნივერსიტეტი "მეტეხი"	67/ა	145/ა	237	109
5	სსიპ - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი; ვილიაჯი: ქუთაისში	68/ა	120/ა 142/ა	1633 288	313 102
6	შპს ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი	69/ა	153/ა	411	190
7	შპს "თბილისის უნივერსიტეტი"	70/ა	150/ა	296	77
8	შპს საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი	71/ა	121/ა	52	7
9	შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	72/ა	125/ა	624	8
10	შპს ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი	73/ა	151/ა	402	64
11	კავშირი - საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაცია - თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი	74/ა	122/ა	187	34
12	შპს საერო ინსტიტუტი "რვალი"	76/ა	143/ა	198	64
13	შპს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი "ჰიპოკრატე"	84/ა	128/ა	166	105
14	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	90/ა	127/ა	330	31
15	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	95/ა	154/ა	720	333
16	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	96/ა	144/ა	417	57

17	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ფილიალი: ქუთაისში	97/ა	135/ა 139/ა	797 125	584 103
18	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ფილიალი: ზუგდიდში	98/ა	148/ა	2725	637 0
19	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	99/ა	123/ა	2223	54
20	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილიალები: მესხეთი, სიღნაღი, სოხუმი, ჯავახეთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქვემო ქართლი, ფოთი	100/ა	152/ა 141/ა 140/ა	15856 1700 602	3607 46 0 0 0 0 0 0
21	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	101/ა	146/ა	5375	2017
22	სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	102/ა	149/ა	1625	202
23	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	103/ა	134/ა	5094	29
24	სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილიალები: მარნეული, ცაგერი	104/ა	132/ა	5286	2146 0 0
25	შპს სამედიცინო ინსტიტუტი "ქუთაისი"	105/ა	155/ა	411	150
26	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილიალი: ფოთში	106/ა	133/ა 119/ა	8275	845 9
27	შპს საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი "ESM-თბილისი"	108/ა	156/ა	534	311
28	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი	109/ა	136/ა	5730	2634
29	სსიპ - საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	110/ა	137/ა	1240	245
30	სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	111/ა	131/ა	1846	452
31	სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია	112/ა	138/ა	1900	728
32	შპს უმაღლესი სამედიცინო სკოლა "აიეტი"	116/ა	157/ა	167	17
33	შპს საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი	ლიცენზია №0512002 19.08.05 №01-17-14-2/9060		313	161

34	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ლიცენზია №0512003 19.08.05 №01-17- 14-2/9061		893	402
35	შპს ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი	ლიცენზია №0612020 20.01.06. №01-16- 07-8/535		116	56
36	შპს სტომატოლოგიური ინსტიტუტი	ლიცენზია №0512018 15.12.05. №01-16- 07-8/15705		394	118
37	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ლიცენზია №0512004 19.08.05 №01-17- 14-2/9062		803	361
38	შპს თბილისის საავიაციო უნივერსიტეტი	ლიცენზია №0512019 30.12.05. №01-16- 07-8/16239		850	738
39	შპს საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი	ლიცენზია №0612041 14.06.06. №01-16- 07-8/8792		420	246
40	შპს სოხუმის აკაკი ჩხარტიშვილის სახ. ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი	88/ა			მიღება არ აქვს
41	შპს ფარმაცევტული ინსტიტუტი "ინტერფარმი +"	91/ა			მიღება არ აქვს
42	შპს ბათუმის თავისუფალი ხელოვნებისა და მეცნიერების ინსტიტუტი	107/ა			მიღება არ აქვს
43	შპს საქართველოს საგადასახადო-საბაჟო აკადემია	118/ა			მიღება არ აქვს



ს.ს.ი.პ. - საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების
სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის დირექტორის

ბრძანება № 11

2006 წ. "06" "06"

ქ. თბილისი

აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N222 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი თანდართული სახით.
2. დაევალოს რესურსების სამმართველოს ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება და დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

დირექტორი



ნინო ჩუბინიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება,

საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა,

ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან და წესებთან შესაბამისობაში მოყვანა, მათი სტატუსისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემის უფლების დადგენა,

წარმოადგენს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიზანს.

ამ მიზნის მისაღწევად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, ქმნის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ფაქტობრივი პირობების დადასტურებას, რის საფუძველზეც ცენტრი იღებს აკრედიტაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, მათ მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად, ობიექტურად და კომპეტენტურად განხორციელების, ასევე საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვის მიზნით, იქმნება წინამდებარე ეთიკის კოდექსი.

მუხლი 1. კოდექსის რეგულირების სფერო

1. ეს კოდექსი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) აკრედიტაციის ექსპერტის (შემდგომში – ექსპერტი) მიერ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში – დაწესებულების) პირობების აკრედიტაციის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენისას სამართლიანობის პრინციპებისა და კანონმდებლობის, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის, სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების ობიექტურად და კომპეტენტურად შესრულების, სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაციის დაცვის, აგრეთვე, ექსპერტის ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევებსა და თვითაცილების წესს.
2. კოდექსი შესასრულებლად სავალდებულოა თითოეული ექსპერტისათვის.

მუხლი 2. კოდექსის მიზნები

კოდექსი მიზნად ისახავს:

- ა) ექსპერტის მიერ სამართლიანობის პრინციპებისა და კანონმდებლობის, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვას;
- ბ) ექსპერტის მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის ობიექტურად და კომპეტენტურად განხორციელებას;
- გ) ექსპერტის მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის განხორციელებისას ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილებას და მოპოვებული ინფორმაციის დაცვას.

მუხლი 3. სამართლიანობის პრინციპისა და კანონმდებლობის დაცვა

1. ექსპერტი უნდა მოქმედებდეს სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით და იცავდეს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.
2. სამართლიანობის პრინციპიდან და კანონმდებლობის დაცვის მოვალეობიდან გამომდინარე, ექსპერტი ვალდებულია:
 - ა) სამსახურებრივი დავალება შეასრულოს გულისხმიერად და კორექტულად;
 - ბ) იმოქმედოს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად და ბოროტად არ გამოიყენოს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება;
 - გ) სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის განხორციელებისას არ ჩაებას ისეთ ურთიერთობებში, რაც არ გამომდინარეობს სამსახურებრივი ვალდებულებებიდან ან რომელიც ახდენს ცენტრის ან მისი ავტორიტეტის დისკრედიტაციას;

დ) იმოქმედოს ცენტრის კანონიერი მითითებების საფუძველზე და ემსახუროს მის მიზნებს.

მუხლი 4. ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვა

1. ექსპერტი ვალდებულია დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი და ეთიკური ნორმები, პატივი სცეს მათ და სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას იმოქმედოს ზნეობრივი და ეთიკური ნორმების ფარგლებში.
2. ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვის მოვალეობიდან გამომდინარე, ექსპერტი ვალდებულია:
 - ა) იყოს ზრდილობიანი და კორექტული, დაიცვას დაწესებულების პატივი და ღირსება;
 - ბ) გამოიჩინოს ტაქტი და თავდაქერა, ერიდოს კონფლიქტურ სიტუაციებს;
 - გ) პატივი სცეს და ხელი არ შეუშალოს დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო, კვლევით და სამუშაო პროცესს;
 - დ) გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას და მიზნობრივად გამოიყენოს დაწესებულებაში არსებული რესურსები.
3. ექსპერტს ეკრძალება ცენტრის პატივისა და ღირსების შემლახავი, ეთიკური და ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართული ქმედების ჩადენა, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ადგილზე, ისე მის გარეთ.
4. ექსპერტს ეკრძალება ნებისმიერი სახისა და ღირებულების საჩუქრის, სხვა სახის ქონებრივი თუ არაქონებრივი სიკეთის, ნებისმიერი სახის სარგებლის მიღება დაწესებულებისგან ან დაწესებულების აკრედიტაციის საკითხით დაინტერესებული პირისგან.
5. დაუშვებელია ექსპერტის მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელება ნასვამ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ.

მუხლი 5. ობიექტურობა

1. დაწესებულების პირობების შეფასებისა და დადასტურებისას ექსპერტი ვალდებულია იყოს ობიექტური.
2. ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, ექსპერტი ვალდებულია:
 - ა) არ განახორციელოს ისეთი ქმედება ან არ შეიკავოს თავი ისეთი ქმედების განხორციელებისგან, რაც მის ობიექტურ გადაწყვეტილებაზე მოახდენს გავლენას;
 - ბ) აღმოჩენისთანავე დაადასტუროს ყველა მისთვის ცნობილი ფაქტი და ფაქტის დადასტურებამდე არ გაამჟღავნოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია.
3. ექსპერტი ვალდებულია ერიდოს ისეთ სიტუაციას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ან ექვექვემ დააყენებს მისი ქმედებისა და შეფასების ობიექტურობას ან/და მასზე დაკისრებული მოვალეობების ობიექტურად და კეთილსინდისიერად განხორციელებას.

4. ექსპერტი დაწესებულების ყველა პირობას ადასტურებს ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით და არა საკუთარი შეხედულებებიდან ან სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 6. კომპეტენტურობა

ექსპერტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იყოს კომპეტენტური და ვალდებულია დეტალურად იცნობდეს აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს. ამ მიზნით ექსპერტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს მხოლოდ ის ფუნქციები და დავალებები, რაც შეესაბამება მის კვალიფიკაციას და რისი საკმარისი ცოდნა, შესაძლებლობა და გამოცდილებაც გააჩნია;

ბ) თავისი კვალიფიკაციისა და ფუნქციების შესაბამისად, გაუწიოს დახმარება სხვა ექსპერტს, იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;

გ) მუდმივად იზრუნოს საკუთარი პროფესიული ცოდნის, ასევე სამსახურებრივ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საქმიანობის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლებაზე.

მუხლი 7. მოპოვებული ინფორმაციის დაცვა

ექსპერტი ვალდებულია არ გაამჟღავნოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, თუ ის წარმოადგენს სახელმწიფო, პირად ან პროფესიულ საიდუმლოებას. ამ მიზნით, ექსპერტი ვალდებულია:

ა) ყურადღებით შეისწავლოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია და დაადგინოს ინფორმაციის სახელმწიფო, პირად ან პროფესიულ საიდუმლოებას მიკუთვნების საკითხი;

ბ) არ გამოიყენოს სახელმწიფო, პირად ან პროფესიულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია პირადი შეხედულებების მიხედვით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის დარღვევა ან ცენტრის ინტერესების შელახვა.

მუხლი 8. ინტერესთა შეუთავსებლობა და თვითაცხილება

1. ექსპერტი უნდა იყოს დამოუკიდებელი იმ დაწესებულებისაგან, რომლის პირობების დადგენასაც ახორციელებს იგი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპერტი ვალდებულია, უარი განაცხადოს სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებაზე, თუ:

- ა) საქმეში დაინტერესებული მხარეა;
 - ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
 - გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან შრომით ურთიერთობაშია;
 - დ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
 - ე) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია;
 - ვ) იგი, მისი ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი არის ამ დაწესებულების თანამშრომელი, მოსწავლე ან სტუდენტი;
 - ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს საწესდებო კაპიტალის წილს იმ დაწესებულებაში, რომლის პირობების დადგენასაც ახორციელებს, ან მას ამ დაწესებულების მიმართ გააჩნია ქონებრივი, ფინანსური ან სხვა პირადი ინტერესი;
 - თ) არსებობს გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ექსპერტის დასკვნის ობიექტურობაზე.
3. აკრედიტაციის ჯგუფის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის საჯარო მოხელე.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლება:
- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
 - დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
5. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ექსპერტი ვალდებულია თვითაცილების შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართოს ცენტრის დირექტორს.

მუხლი 9. ექსპერტის სტატუსის შეწყვეტა

1. ამ კოდექსით დადგენილი ნორმების დარღვევისას ექსპერტს, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, უწყდება სტატუსი.
2. დაუშვებელია იმ ექსპერტის მონაწილეობა აკრედიტაციის პროცესში რომელსაც ამ კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის საფუძველზე შეუწყდა სტატუსი.